# სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 16 მარტი 2004 №58 (2077) | ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



# ალენ ჟირესი ხვალიდან იწყება

## ფედერაციამ ნაკრების ფრანგი მწვრთნელი ქართული გვარების წაკითხვაში ავარჯიშა

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი ალენ ჟირესი თბილისში ხვალ ჩამოვა და საქმეს შეუდგება. საქმე კი ჯერ 30 მარტს მანჰაიმში გასამართი გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებთან ამხანაგური მატჩისთვის გუნდის მომზადება იქნება

მწვრთნელმა ფეხბურთის ფედერაციიდან უკვე მიიღო იმ ფეხბურთელთა სია, რომლებსაც ეროვნულ გუნდში ბოლო დროს უთამაშიათ. მათი რაოდენობა დაახლოებით ორმოცდაათია. როგორც ჟირესის თანაშემწემ გია გურულმა გვითხრა, მწვრთნელი ფედერაციის სიას გადახედავს და ფეხბურთელთა სტატისტიკურ მონაცემებს გაეცნობა, თუმც საგერმანიო შემადგენლობის გამოძახებას ჟირესი მაინც ფედერაციას ანდობს — მწვრთნელი ფეხბურთელთა შესაძლებლობებში ჯერ გარკვეული არ არის და იმიტომ.

თბილისში მყოფი ჟირესი საქართველოს ჩემპიონატისა და თასის რამდენიმე შეხვედრას დაესწრება. მოგეხსენებათ, ჩემპიონატის მეორე ეტაპი ხუთშაბათს, 18 მარტს იწყება, 22 მარტს თასის მეოთხედფინალებია, 26-ში კი ისევ ჩემპიონატის მატჩები. 18 მარტს ჟირესი, ალბათ, „დინამო" — „ლოკომოტივის" შეხვედრას დაესწრება.

და კიდევ: გერმანიამდე ჟირესი ორი კვირით ისევ სასტუმროში იცხოვრებს, მერე კი მწვრთნელს ბინას უქირავებენ და ისიც ოჯახთან ერთად ჩამოვა. ყოველ შემთხვევაში, აქამდე ჟირესს ასეთი სურვილი ჰქონდა და ალბათ არც გადაუფიქრებია.

## მარტის ბოლოსკენ საქართველოს ჩემპიონატისა და თასის შეხვედრათა სარბიელზე პოდიუმს დაემსგავსება: ჟირესი სტადიონზე ჩამოივლის

## დავით ყიფიანის თასი

მეოთხედფინალი. წილისყრა

# ფავორიტთა გაყრა

*გუშინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრესკონფერენციო დარბაზში საქართველოს პროფესიულმა ლიგამ დავით ყიფიანის თასის გათამაშების მეოთხედფინალის წილსყრა გამართა*

## როდემდე დარჩება აჭარა აჭარაში?



კენჭისყრას რვავე გუნდის წარმომადგენელი ვერ დაესწრო — „ბათუმის“ და „ქობულეთის“ ხალხი თბილისში რომ ვერ ჩამოვიდოდა, უცნაური ამბავი სულაც არაა — აჭარაში საგანგებო ვითარებაა და წილისყრის გამო ალბათ არც ღირდა ჩოლოქის გავლა-გამოვლა.

რაც შეეხება წილისყრის შედეგებს, ფავორიტი გუნდები უკმაყოფილო არ უნდა იყვნენ — „ტორპედო“, „ვიტ ჯორჯია“, „დინამო“ და „თბილისი“ — ამათ ყისმათზე აუგი ვერ დასცდებათ. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩემპიონატის პირველ ეტაპზე „თბილისმა“ გორში „დილას“ მოუგო და თბილისელები ისე გადიან ბარიერებს, ნახევარფინალში გასვლა დიდად არ უნდა გაუჭირდეთ.

ესეც მეოთხედფინალური წყვილები:

***ქობულეთი-ტორპედო***
***სპარტაკი — ვიტ ჯორჯია***
***დინამო — ბათუმი***
***დილა — თბილისი***

პირველი მატჩები გაიმართება 22 მარტს, საპასუხოები — 6 აპრილს.

**დავით თავართქილაძე**

# ჭრილობა და ჰემატომა

## საჩუქარი დაბადების დღეზე



**13 მარტს,** საკუთარ დაბადების დღეს, ზაზა ზირაქიშვილი „ისნის“ სტადიონის მოედნიდან საკაცით გაიყვანეს — თასის მერვედფინალის საპასუხო მატჩში ზირაქიშვილის „ლოკომოტივი“ „თბილისს“ სტუმრობდა და როცა ზირაქიშვილმა საგოლე შანსი გააცუდა, თბილისელმა მეტოქემ ტრავმა მიაყენა — ბუცის ქაცვები ტერფში ჩაასო.

გუშინ ზირაქიშვილს დიაგნოზი დაუსვეს — მოტეხილობა არაა, მაგრამ ზაზას მარცხენა ტერფზე ჭრილობა და სისხლჩაქცევები აქვს.

ზირაქიშვილს ჯერ სიარულიც უჭირს და ექიმთა ვარაუდით, ათ დღეში თუ შეძლებს მინდორზე სავარჯიშოდ გასვლას. ერთი სიტყვით, ჩემპიონატის მეორე ეტაპის პირველ მატჩს, როცა „დინამო“ „ლოკომოტივს“ უმასპინძლებს (18 მარტი), ზირაქიშვილი ნაღდად ვერ ითამაშებს და ვინძლო მომდევნო ტურიც გამოტოვოს.

„ლოკომოტივისთვის“ ზირაქიშვილის ტრავმა იმითაც მძიმდება, რომ „დინამოსთან“ ისედაც შესუსტებული შემადგენლობით უწევს თამაში — „დინამოსგან“ ნათხოვარი ოთხი ფეხბურთელიდან — მამალაძე, სახვაძე, ვაშაკიძე და მიქაძე — მხოლოდ ორის გაყვანა შეუძლია ამ გუნდის წინააღმდეგ და სახვაძეც „თბილისთან“ მიღებული წითელი ბარათის გამოა დისკვალიფიცირებული.

**დავით თავართქილაძე**




REUTERS

ამ სამი ჯეელის ესპანურ თავგადასავალზე ამ დღეებში იმდენჯერ მოგითხრეთ, ვინძლო, მათი ვინაობის შეხსენება უადგილოც იყოს, მაგრამ, მაინც გეტყვით, რომ ფოტოზე პოლ დიკოვი, ფრენკ სინკლერი და კეიტ გილესპი არიან აღბეჭდილნი. ხოლო ჩვენი ყურადღება სექსსკანდალ გამოვლილმა ლესტერელებმა კიდევ ერთხელ იმიტომ მიიპყრეს, რომ გუშინ პირველად ივარჯიშეს გუნდთან ერთად.

### გერმანია

II ბუნდესლიგა. XXIV ტური

**კარლსრუე 1:1 მაინცი**

### პორტუგალია

სუპერლიგა. XXVI ტური

**სპორტინგი 2:0 ალვერკა**

### იტალია

სერია C1/B. XXV ტური

**ვიტერბეზე 1:1 აკირეალე**

### რუსეთი

პრემიერლიგა. I ტური

**ლოკომოტივი 3:0 შინიკი**

### ჩეხეთი

გამბრინუს ლიგა. XXI ტური

**პლზენი 1:2 ბანიკი**

# ვირტუალური ლიგა




ადრეც გაუწყეთ, რომ საქართველოს პროფესიული ლიგა საკუთარი ვებსაიტის შექმნას აპირებდა, გუშინ კი უკვე გამზადებული ვებ-გვერდის პრეზენტაცია შედგა.

WWW.PFL.GE — ასეთია პროფლიგის საიტის მისამართი. ვებგვერდი საკმაოდ ხარისხიანია და თუ ინტერნეტში ჩართულ კომპიუტერზე ხელი მიგიწვდებათ, საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის მატჩების ანგარიშებს ცოცხლად შეიტყობთ. მოკლედ, ვისაც ჩვენი ჩემპიონატი აინტერესებს, მას აწი ვირტუალურადაც ჩაუკირკიტებს.

2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის II შესარჩევი ჯგუფი

## ჩვენი მეტოქე

# რას მიჰქარავ, ჯან!

## ულუსოის მენეჯერი დაიწუნა



შენოლ გიუნეშ ჰალუკ ულუსოის ავი ზრახვებისა ჯერ არ სჯერა

### თურქეთი

თურქეთის ფეხბურთის ფედერაციაში არეულობაა. გასულ კვირაში გაუწყეთ, რომ ფედერაციის პრეზიდენტი ჰალუკ ულუსოი ნაკრების თავკაცის შეცვლას აპირებს. იგი შენოლ გიუნეშის გათავისუფლებაზე და უცხო მწვრთნელის მოყვანაზე ალაპარაკდა.

გიუნეში ჯერჯერობით კომენტარისგან თავს იკავებს, რადგან ულუსოისთან შეხვედრას გეგმავს და ამის შემდეგ გაარკვევს მომავალს. აქვე ისიც ვთქვათ, რომ ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები ივნისში გაიმართება, მაშინ, როცა ევროპის ჩემპიონატი გახურდება. ულუსოის სურს, ევრო 2004-ის დაწყებამდე ახალი მწვრთნელი შეიგულოს და არ მალავს.

პრეზიდენტს ჯერ არ დაუზუსტებია დრო-თარიღი, როდის შეცვლის გიუნეშს, მაგრამ ერთ-ერთ გაზეთში გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს თვის ბოლოს თურქებს ახალი მწვრთნელი ეყოლებათ. ინფორმაციის წყაროდ ნაკრების მენეჯერი ჯან ჩობანოღლუ დაასახელეს. ეს კაცი მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატიდან თუ გეხსომებათ, ყოველი გოლის და გამარჯვების შემდეგ გიუნეშზე ადრე რომ წამოხტებოდა და ბალღივით დაკუნტრუშობდა.

გაზეთის ცნობით, ჩობანოღლუს უთქვამს, მარტის დასასრულისთვის გიუნეშის შემცვლელის გვარ-სახელს გავამჟღავნებთო. მენეჯერმა მეორე დღესვე უარყო ეს ინფორმაცია და განაცხადა, ჩემი ნათქვამი შეცდომით გაიგესო. ამ ამბავმა ჰალუკ ულუსოის ყურამდე, მიაღწია. პრეზიდენტმა ჩობანოღლუ დატუქსა, ნაკრების მწვრთნელის შეცვლა-არშეცვლა მისი საქმე არაა, თუმცა მეეჭვება, მენეჯერს მსგავსი რამ ეთქვასო. თუ მართლა ასეა, ძალიან შემცდარა და მიუქარავსო.

მოკლედ, შენოლ გიუნეშის გარშემო ძალიან წრიალებენ და უახლოეს დღეებში ალბათ მტყუან-მართალი და წამსვლელ-დამრჩენი გაირკვევა.

**ვაჟა ხუციშვილი**



# ქინქლაძე ბოლტონმა სამგლედ გაიმეტა

**გიორგი ქინქლაძემ**, შესაძლოა, ხუთშაბათს ინგლისური პრემიერლიგის „ბოლტონთან“ კონტრაქტი გააფორმოს და გუნდში სეზონის ბოლომდე დარჩეს. დღეს კი ქართველმა ნახევარმცველმა „ბოლტონის“ სარეზერვოებთან ერთად სტუმრად „ვულვზთან“ უნდა ითამაშოს და მწვრთნელი სემ ალარდაისი თავის შესაძლებლობებში საბოლოოდ დაარწმუნოს. აქამდე ქინქლაძემ „ბოლტონის“ სარეზერვოებში სამჯერ უკვე ითამაშა და როგორც ჩვენი ინგლისელი კოლეგები ამბობენ, ურიგოდ არ გამოიყურებოდა.

— კვიპროსის საერთაშორისო ტურნირზე ნაკრებში სამი მატჩი ჩავატარე, სამჯერაც „ბოლტონში“ ვითამაშე და ვფიქრობ, სასურველ ფორმას ვუახლოვდები, წონაშიც საგრძნობლად დავიკელი — გუშინ გვითხრა გიორგი ქინქლაძემ.

ჯერჯერობით ფეხბურთელი მწვრთნელს პირისპირ არ შეხვედრია, თუმც ქართველის მიმართ ალარდაისის კეთილგანწყობაზე ბრიტანული საინფორმაციო საშუალებები ბევრს ლაპარაკობენ. თავად მწვრთნელი კი ამბობს, რომ თუ ქინქლაძემ საუკეთესო ფორმა აღიდგინა, ეს ფეხბურთელი მის გუნდს ძალიან გააძლიერებს და დასახული მიზნებისთვის ბრძოლაში დაეხმარება.

მოკლედ, ქინქლაძის „ბოლტონში“ დარჩენის საკითხი ხუთშაბათს უნდა გაირკვეს. დღეს ჩვენიანს „მგლებთან“ მატჩი ელის, ხვალ გუნდი ისვენებს, ალარდაისი კი, ალბათ, იფიქრებს და საბოლოო პასუხს ზეგ იტყვის. ყოველ შემთხვევაში, გიორგი ქინქლაძის თქმით, სატრანსფერო ამბის გარკვევას ის ხუთშაბათისთვის ელის.

**ძოგბა ინასარიძე**



# მირკო ვოტავას გადაწყვეტილება: უნიონში სირაძე პირიქითაა

*მეორე ბუნდესლიგის ბოლო ტურში ბერლინის „უნიონი“, სადაც დავით სირაძე თამაშობს, შინ „უნტერჰახინგს“ დაუზავდა — 0:0. ჩვენებური „უნიონის“ დამრიგებელმა მიროსლავ ვოტავამ 78-ე წუთზე შეიყვანა შეცვლაზე — წინა ორ შეხვედრაში კი სირაძეს საერთოდ არ უთამაშია და დათოს ყველაფერ ამაზე დავეკითხეთ*

— „უნტერჰახინგთან“ ვოტავამ პირველი ტაიმის მერე მითხრა, მზად იყავი, ყოველ წუთს ელოდე მოედანზე შესვლასო. ნახევარდაცვაში, ოდნავ მარცხნიდან თამაში დამავალა და მეც დარჩენილ დროში მხოლოდ ის მოვახერხე, რომ 2-3-ჯერ გავამწვავე თამაში.

**— „უნტერჰახინგამდე“ ორ მატჩში ერთი წუთიც არ გათამაშა ვოტავამ...**

— არ ვიცი, ასე რატომ ხდება — ვარჯიშებზე კარგად ვირჯები, ნორმალურ ფორმაში ვარ. ვარჯიშის შემდეგ კი ვოტავა მოედანზე მტოვებს, რათა კუთხურების, ჯარიმების და ჩაწოდებების შესრულებაზე მავარჯიშოს.

**— საქართველოს ჩემპიონატში კუთხურებსა და ჯარიმებს არ აწვდიდი, პირიქით, ჩაწოდებულზე ურტყამდი თავს...**

— ეგრეა, „უნიონში“ ყველაფერი პირიქითაა, აქ ტანმაღალი და თავით კარგად მოთამაშე ფეხბურთელი ბევრია, თუმც ვოტავა კარში ჯარიმის დარტყმაშიც მავარჯიშებს. კუთხური კი პირველად „უნტერჰახინგთან“ მოვაწოდე. მაგრამ ასე მოკლე დროში ძალიან ძნელია თავის გამოჩენა, დრო არ მყოფნის, რომ თამაშში, ასე ვთქვათ, გავიხსნა.

**— ბერლინში კი უკვე „გაიხსენი“?**

— კლუბმა მანქანა გამომიყო და სასტუმროში მაცხოვრებს, თუმც ბერლინში აქეთ-იქით მანქანით სიარული მიჭირს. სასტუმრო-ვარჯიში-ქალაქის ცენტრი — ჯერ ასეთია ჩემი მოძრაობის მარშრუტი.

**დავით თაგართქილაძე**

# ამისულაშვილს ვირუსი გამჯარა

## კიევის დინამოს რაღა შეეყარა?



*კიევის „დინამოსთვის“ სეზონი უხეიროდ დაიწყო. მიხაილიჩენკოს გუნდი ჯერ თასზე 0:2 შერცხვა „დნიპროსთან“, მერე კი, განახლებულ ჩემპიონატში „ტავრიას“ კიევში 0:0-ის მეტს ვერას გამორჩა. „ტავრიასთან“ არ უთამაშია ალეკო ამისულაშვილს. მაღალი სიცხე ჰქონდა და თავდამსხმელების ნაცვლად უკრაინაში მძინვარე ახალ ვირუსს ებრძოდა. ახლა ალეკო თავს უკეთ გრძნობს და „დინამო 2“-ის შემადგენლობაში უკრაინის პირველ ლიგის მატჩში 90 წუთი ითამაშა. „დინამო 2“-მა „კრასილოვ ობილონი“ 1:0 დაამარცხა. სარეზერვო გუნდში ალეკოს გარდა ძირითადისთვის შეგულებულმა კიდევ სამმა ფეხბურთელმა — ხაცკევიჩმა, ალექსანდრომ და ოგნიენოვიჩმა ითამაშეს*

— ახლა თავს უკეთ ვგრძნობ, საშინელი ვირუსი მქონდა — გვითხრა გუშინ ალეკომ — სამ დღეში იმდენი ნემსი გამიკეთეს, თვლა ამერია. ორი დღეა, ვარჯიში განვაახლე და პირველი ლიგის მატჩიც ვითამაშე. მოედანზე 90 წუთი კი დავყავი, მაგრამ, როგორც ჩანს, ავადმყოფობამ თავისი კვალი დამატყო: მატჩის ბოლოსკენ ოდნავ დავსუსტდი.

**— „დინამო 2“-ში რატომ გათამაშეს?**

— ეს აქ ჩვეულებრივი ამბავია. ტრავმირებულ ან ფორმადაკარგულ ფეხბურთელს „დინამო 2“-ში ათამაშებენ, რათა ფორმა აღიდგინოს. საკმაოდ კარგი თამაში გამოვიდა. მეტოქე აშკარად დავჯაბნეთ. გოლის გატანა მეც შემეძლო, მაგრამ ჩემი თავური ოდნავ ასცდა კარს.

**— შეიძლება ითქვას, რომ შენსა და მიხაილიჩენკოს შორის კონფლიქტი ამოწურულია?**

— კონფლიქტი არც ყოფილა, უფრო გაუგებრობა იყო. პირადად ჩემთან მას პრეტენზიები არ გამოუთქვამს და არც ის უთქვამს, რის გამოსწორებას მოითხოვდა ჩემგან.

**— თუ სეზონის დასაწყისით ვიმსჯელებთ, არც კიევის „დინამო“ უნდა იყოს იდეალურ ფორმაში...**

— ასეა. „ტავრიასთან“ მატჩს რომ ვიხსენებ, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ მეტოქეს უნდა მოეგო. ყოველ შემთხვევაში, პირველ ტაიმში სამი ასპროცენტიანი მომენტი გააფუჭეს. მეორე ტაიმიდან „დინამომ“ მოუმატა, მაგრამ აღარაფერი გამოვიდა.

**— „ტავრიას“ ქართველებიდან ყველაზე მეტად ვინ გამოირჩა?**

— საუკეთესო იყო ჭანტურია. მეორე ტაიმში სამი მკვდარი ბურთიც მოიგერია და საერთოდაც უშეცდომოდ ითამაშა. მისი დამაჯერებელი თამაში გუნდსაც გადაედო. ჩხეტიანიც და იმედაძეც სიმფეროპოლელთა შორის საუკეთესონი იყვნენ. ჭანტურია კი ორივე გუნდის შემადგენლობაში იყო საუკეთესო.

**— მომდევნო ტურში ძირითადში შენს გამოჩენას უნდა ველოდოთ?**

— ეს მარტო მიხაილიჩენკომ იცის. ისე, რატომ არ უნდა მათამაშოს? ახლა ჯანზეც ვარ და ფორმაშიც. თანაც, მისი მოწონებული და არჩეული არ ვარ?!

**დავით ერაძე**

# ლამისაა, გავგიჟდე!

## რეხვიაშვილმა ვერაფერი გაიგო

*ასეთ უსამველოს ვინ წარმოიდგენდა?! მოსკოვის „ტორპედო-მეტალურგის“ მიერ ათვალწუნებული ალექსანდრე რეხვიაშვილი ჯერაც უქმობს და მსურველ კლუბს ეძებს. საქართველოს ნაკრების ნახევარმცველს ბოლოს მახაჩყალის „ანჟის“ ვარიანტი ჩაეშალა და...*

*გუშინ ალეკოს მოსკოვში რომ შევეხმიანეთ, გულგატეხილობა მოკითხვისთანავე შევამჩნიეთ...*



— ფიზიკურად კი ვარ ჯანზე, მაგრამ მორალურად... რა ვიცი, რა გითხრა, მსგავს სიტუაციაში არასოდეს ვყოფილვარ. რუსულ პრემიერლიგაში განაცხადების შეტანა უკვე დამთავრდა და ეს იმედიც ბოლომდე ჩაკვდა. ახლა პირველ ლიგაზე თუ ვიფიქრებ.

**— პირველლიგელ „ანჟიში“ ხომ იყავი, რატომ წამოხვედი?**

— დღემდე ვერ გავიგე, ჩემს ირგვლივ რა ხდება. ცუდად არ გამოვიყურებოდი, შეკრებაზე ყველა ამხანაგური მატჩი ვითამაშე, გოლებიც გავიტანე, მწვრთნელსაც ველაპარაკე და ყველაფერი გადაწყვეტილი იყო. მერე აღმოჩნდა, რომ თურმე „ანჟის“ საყრდენი ნახევარმცველის ნაცვლად გამთამაშებელი უნდოდა. ვერაფერი გავიგე...

**— მანამდე არ იცოდნენ, გამთამაშებელი რომ არ იყავი?**

— საქმეც ეგაა, რომ იცოდნენ. კახა ცხადაძე ჩემს ჩასვლამდეც ელაპარაკა მწვრთნელს და ყველაფერი გაარკვია. მგონი, საქმე სხვა რამეში იყო. არა მგონია, იქ საყრდენობა თუ გამთამაშებლობა გადამწყვეტი ყოფილიყო.

**— „ტორპედო-მეტალურგმა“ დიდი თანხა ხომ არ მოითხოვა?**

— ეს ცალკე პრობლემაა. „ტორპედო-მეტალურგი“ სხვადასხვა კლუბს სხვადასხვა თანხას სთხოვს ჩემს სანაცვლოდ.

**— და რას აპირებ?**

— ახლახან შევხვდი კლუბის დირექტორ იური ბელოუსს და ვუთხარი, კომპენსაციაზე მოვილაპარაკოთ და კონტრაქტი გავწყვიტოთ-მეთქი. უარზეა. 26 მარტამდე დაველოდები. პირველი ლიგის გუნდებისთვის ეს ბოლო ვადაა ტრანსფერისთვის.

**— გაქვს კი რაიმე წინადადება?**

— რეალური არაფერია. ერთ კვირასაც მოვიცდი და მერე რამეს ვიღონებ. ალბათ, ლატვიაში დავბრუნდები. სხვა გზას ვერ ვხედავ, მაგრამ მანამდე ბელოუსთან მექნება მძიმე ლაპარაკი.

**— „სკონტოში“ ალბათ უპრობლემოდ მიგიღებენ...**

— მწვრთნელთან ჯერ არ მისაუბრია, თუმც არა მგონია, ჩემი დაბრუნების წინააღმდეგი იყოს. არ მინდოდა, გავლილ გზაზე ხელახლა დაბრუნება, მაგრამ უგუნდოდ დავრჩე?! ლამისაა, გავგიჟდე, რამე უნდა მოვიფიქრო...

**ბაჩა შალამბერიძე**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 94 33 80



ალექსანდრე იაშვილი „ფრაიბურგში“ შტატიანი პენალტების მომპოვებელია

*იაშვილ-ცქიტიშვილის „ფრაიბურგი“ შინ „დორტმუნდთან“ ფრეს გამორჩა, თუმც ქართველებს რომ არ ეყოჩაღათ, ფოლკერ ფინკეს გუნდს ვინძლო წაეგო კიდეც. ფრაიბურგელ შემტევ ალექსანდრე იაშვილსაც გუშინ მეტწილად დორტმუნდელებთან მატჩზე ვესაუბრეთ*

## ალექსანდრე იაშვილი:

# კარი და ახალგაზრდა გერმანელები უნდა გავწიოთ

— კარგი თამაში იყო, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვიგეთ.

— „ფრაიბურგმა“ მეტოქეზე უკეთ ითამაშა?

— პირველ ტაიმში ვიგებდით, მაგრამ ბოლო წუთზე გავუშვით გოლი — ტორსტენ ფრინგსმა ჯარიმა ჩააწოდა და დედემ თავით გაგვიტანა. ამის შემდეგ რამდენიმე საგოლე მომენტი შევქმენით, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ.

— მეორე ტაიმში გოლი აქეთ მიიღეთ, თუმც გასათანაბრებლად რვა წუთი დაგჭირდათ...

— „დორტმუნდის“ საჯარიმოში გაი დემილმა წამაქცია და ცქიტიშვილმა პენალტი ზუსტად შეასრულა.

— 11-მეტრიანს შენ იმსახურებ და ცქიტიშვილს გოლი გააქვს — მერამდენედ მოხდა ეს მიმდინარე ბუნდესლიგაში?

— მესამედ, მაგრამ ამასწინათაც, „კაიზერსლაუტერნს“ რომ მოვუგეთ, პენალტი მე მოვიპოვე და ის ცქიტიშვილმა გაიტანა, იმ შეხვედრაში ბურთი ძელსაც გავარტყი — სამწუხაროდ, „დორტმუნდთანაც“ იგივე მოხდა — როცა 1:1 იყო, ჩემს მიერ დარტყმული ბურთი ძელმა აისხლიტა — კარი ცოტათი უნდა გავწიო, თორემ სხვა გზა არ არის.

— მოკლედ, „დორტმუნდთან“ მატჩით მაინც უკმაყოფილო დარჩი?

— მთლიანობაში კმაყოფილი ვარ, „ფრაიბურგმა“ მართლაც კარგად ითამაშა, „დორტმუნდმა“ კი თითქმის შემთხვევით გაგვიტანა გოლები, განსაკუთრებით მეორე.

— 30 მარტს საქართველოს ნაკრები გერმანიის ოცდაერთწლამდელებს ესტუმრება — რას იტყოდი გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებზე?

— გერმანიის ახალგაზრდულ ნაკრებს საკმაოდ კარგი ფეხბურთელები ჰყვს — ისინი ბუნდესლიგის გუნდების ძირითად შემადგენლობაში თამაშობენ, ჰიცლშპერგერი სულაც „ასტონ ვილაშია“, „ფრაიბურგიდან“ ახალგაზრდულ ნაკრებში საშა რიტერი თამაშობს. ვფიქრობ, გერმანიის ოცდაერთწლამდელი ფეხბურთელები სათითაოდ უფრო ძლიერები არიან, ვიდრე გუნდი. ჩვენ მათ უნდა მოვუგოთ, ეს ხომ ახალგაზრდული ნაკრებია. ისე კი, გერმანიაში ახლა ძალიან აქებენ ახალგაზრდული ნაკრების ერთ ფეხბურთელს — ბაიერნელ ბასტიან შვაინსტაიგერს, ვინც „რეალთან“ საუკეთესო იყო „ბაიერნიდან“.

**დავით თაგართქილაძე**



იაშვილის გახერხებული პენალტების რეალიზაცია
ლევან ცქიტიშვილის საქმეა

# ხარებაა და გოგია ბუნდესლიგაში

## ტავრია-რია კიევში ოთხი ქართველით

რუსეთი, უკრაინა, პოლონეთი — კიდევ სამი „ქართული“ ლიგა განახლდა ამ უქმეებზე, თუმც ჩვენებურები განსაკუთრებით არ გამორჩეულან. ერთადერთი, რისი გამორჩევაც შეიძლება, ტავრიელთა სენსაციური კიევური ფრეა. ქართველუხვმა „ტავრიამ“ უკრაინის ჩემპიონატის პირველი წრის ბოლო მატჩშიც დააკარგვინა ქულები მრისხანე „დინამოს“ და გუშინაც გვარიანი სირცხვილი არგუნა. სიმფეროპოლელები 90 წუთის განმავლობაში მედგრად იდგნენ და შინ მნიშვნელოვანი ქულაც გაიყოლეს. ანატოლი ზაიაევმა ძირითადში გრიგოლ ჭანტურია, გიორგი იმედაძე და კახა ჩხეტიანი ათამაშა, მეგოლე ზურაბ იონანიძე კი 85-ე წუთზე შეუშვა მოედანზე.

„დინამოს“ საქმეები ძალიან აეწეწა. ახალ სეზონში ჯერ თასის ნახევარფინალში „დნიპროსგან“ დაიჩაგრა, ახლა კი აუტსაიდერ „ტავრიას“ ვერ აჯობა. ალეკო ამისულაშვილს გრიპის გამო არ უთამაშია.

დისკვალიფიკაციის გამო დააკლდნენ ქართველები „მეტალურგს“ დონეცკურ დერბიში. „შახტარმა“ თანაქალაქელს 2:0 სძლია და პირველი ადგილი გაიმყარა.

მამია ჯიქია 90 წუთი შეეშველა „ამიკას“ პოლონეთის განახლებულ ჩემპიონატში. ვრონკელებმა 5:1 მოაშთეს „პოლონია“ და კვლავაც მეორე ადგილზე არიან.

რუსეთში ქართველებმა კი იმატეს, მაგრამ ამით ბევრი არაფერი შეცვლილა. ჩვენებურები მოედანზე ისევ იშვიათად გადიან. პირველ ტურშიც ოდენ ლევან გვაზავა და რატი ალექსიძე გამოჩნდნენ, ისიც შეცვლებზე. გვაზავას „ალანია“ უგოლოდ გაეყარა ბრინჯაოსან „რუბინს“, ალექსიძის „როსტოვი“ კი შინ „ტორპედოსთან“ პირისაგან მიწისა აღიგავა — 0:4.

მიხეილ ყაველაშვილმა ტრავმა მოირჩინა და გუშინწინ „აარაუს“ შეეშველა. დი ნაპოლიმ სწორედ ქართველი თავდამსხმელის ჩინებული პასით გაუტანა „იანგ ბოისს“, მაგრამ აარაუელები საბოლოოდ მაინც ფრეს დასჯერდნენ.

ამირან მუჯირმა საკუთარი ხელით დამარხა ლამის მშობლიური „მარეკი“. წლების მანძილზე მარეკელთა ლიდერი ახლა სოფიურ ცსკა-ში თამაშობს. არმიელებმა 4:0 გაანადგურეს დუპნიცელები. მუჯირმა სრულად ითამაშა და საგოლე პასითაც გამოირჩა.

გოგა გახოკიძის „ტვენტემ“ სეზონის უცუდესი მატჩი ჩაატარა. ენსხედელები საკუთარ კედლებში 2:5 შერცხვნენ „ნიმეგენთან“. ახალგამოჯანმრთელებული გახოკიძე 63-ე წუთზე შევიდა მოედანზე და მასპინძელთა მეორე გოლშიც დაიდო წილი. „ტვენტემ“ კი უეფას თასისკენ სავალი გზა გაიმრუდა.

რაც ლევან ცქიტიშვილი ფეხზე დადგა, „ფრაიბურგმა“ ოთხიდან მხოლოდ ერთხელ წააგო, სამი მატჩი კი „ცქიტოს“ გოლით მოიგო. მართალია, პენალტებით, მაგრამ „ფრაიბურგისთვის“ ესეც გვარიანი პრობლემა იყო მანამდე. ცქიტიშვილმა ამჯერადაც იაშვილის წაქცევისთვის დასაჯა „დორტმუნდი“.

ლევან ქებაძის წარმატებული სერია ბრაზილიური უსასრულობით გრძელდება. „პარალიმნის“ ქართველი მეგოლე ზედიზედ მეხუთე მატჩია, ყოჩაღობს და 15 შეხვედრაში უკვე 13 გოლი დაუგროვდა. ქებაძემ „პარალიმნის“ „დიგენისთან“ მატჩში გადაურჩინა ქულა.

კუნძულური გოლით გიორგი გაბიდაურიც გამოირჩა, თუმც ამით „ანართოსისმა“ ვერაფერი მოიგო. გაბიდაურ-ქეცბაია-წიტაიშვილის გუნდი აეკ-თან უხვგოლიან მატჩში 3:4 დამარცხდა და მომგებიანი სერია შეწყვიტა.

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | იუვენტუსი 3:1 | 0 | სათადარიგო | 4 | 0 | 1 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | ს | აინტრახტი 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 22 | 0 | 6 |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | დორტმუნდი 2:2 | 90 | | 22 | 6 | 12 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | დორტმუნდი 2:2 | 75 | 1 გოლი, შეცვალეს | 19 | 4 | 12 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | აუე | ს | ობერჰაუზენი 4:1 | 0 | | 22 | 6 | 14 |
| დავით სირაძე | უნიონი | შ | უნტერჰახინგი 0:0 | 12 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 16 |
| **ავსტრია. მაქსბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | ს | გრაცერი 1:1 | 82 | შეცვალეს | 16 | 0 | 8 |
| **შოტლანდია. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | რეინჯერსი | ს | ჰართსი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 16 | 12 | 2 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | რეინჯერსი | ს | ჰართსი 1:1 | 0 | სათადარიგო | 15 | 0 | 2 |
| **ჰოლანდია. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | შ | ნაიმეგენი 2:5 | 27 | შეცვლაზე ითამაშა | 23 | 2 | 7 |
| **შვეიცარია. სუპერლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ ყაველაშვილი | აარაუ | ს | იანგ ბოისი 2:2 | 67 | საგოლე პასი, შეცვალეს | 3 | 3 | 7 |
| **რუსეთი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| მალხაზ ასათიანი | ლოკომოტივი | შ | შინიკი 3:0 | 45 | გააფრთხილეს, შეცვალეს | 1 | 0 | 2 |
| მიხეილ აშვეთია | ლოკომოტივი | შ | შინიკი 3:0 | 90 | | 1 | 0 | 2 |
| რომან ახალკაცი | ლოკომოტივი | შ | შინიკი 3:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ვიტალი დარასელია | ალანია | შ | რუბინი 0:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 10 |
| ლევან გვაზავა | ალანია | შ | რუბინი 0:0 | 13 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 10 |
| რატი ალექსიძე | როსტოვი | შ | ტორპედო 0:4 | 45 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 16 |
| გიორგი ლომაია | სპარტაკი | შ | დინამო 2:2 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 4 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | დინამო | ს | სპარტაკი 2:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 5 |
| დავით ნაკანი | ტორპედო | ს | როსტოვი 4:0 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 1 |
| **უკრაინა. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | მ. დონეცკი | ს | შახტარი 0:2 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 15 | 1 | 4 |
| გიორგი დემეტრაძე | მ. დონეცკი | ს | შახტარი 0:2 | 0 | დისკვალიფიცირებული იყო | 14 | 9 | 4 |
| ალექსანდრე ამისულაშვილი | დინამო | შ | ტავრია 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ზურაბ იონანიძე | ტავრია | ს | დინამო 0:0 | 5 | შეცვლაზე ითამაშა | 15 | 2 | 15 |
| გია ჭანტურია | ტავრია | ს | დინამო 0:0 | 90 | | 3 | 0 | 15 |
| გიორგი იმედაძე | ტავრია | ს | დინამო 0:0 | 85 | შეცვალეს | 1 | 0 | 15 |
| კახა ჩხეტიანი | ტავრია | ს | დინამო 0:0 | 90 | | 1 | 0 | 15 |
| ზვიად ჩხეტიანი | ტავრია | ს | დინამო 0:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 0 | 0 | 15 |
| გოჩა ტრაპაიძე | ვოლინი | ს | ობოლონი 0:1 | 78 | შეცვალეს | 1 | 0 | 16 |
| გელა შეყილაძე | არსენალი | ს | კარპატი 0:0 | 9 | შეცვალეს | 11 | 0 | 7 |
| **თურქეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| გივი დიდავა | ქოჯაელი | შ | იზმირი 3:0 | 6 | შეცვლაზე ითამაშა | 17 | 0 | 4 |
| **პოლონეთი. პირველი ლიგა** | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | ამიკა | ს | პოლონია 5:1 | 90 | | 14 | 1 | 2 |
| **ბულგარეთი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| ამირან მუჯირი | ცსკა | შ | მარეკი 4:0 | 90 | საგოლე პასი | 2 | 0 | 2 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ჩერნო მორე | შ | ვიდიმა 4:1 | 12 | შეცვლაზე ითამაშა | 8 | 1 | 6 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | აეკ 3:4 | 90 | | 18 | 7 | 5 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | აეკ 3:4 | 86 | 1 გოლი, გააფრთხ., შეცვალეს | 6 | 2 | 5 |
| კლიმენტი წიტაიშვილი | ანართოსისი | ს | აეკ 3:4 | 45 | შეცვალეს | 5 | 4 | 5 |
| ლევან ქებაძე | პარალიმნი | შ | დიგენისი 1:1 | 90 | 1 გოლი | 15 | 13 | 6 |
| ლევან მაღრაძე | აელ | შ | ეთნიკოსი 1:1 | 0 | | 15 | 3 | 4 |
| გიორგი ქორიძე | ონისილოსი | ს | ომონია 1:3 | 90 | | 17 | 9 | 13 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

საქართველოს 15 ჩემპიონატი
პირველი ლიგა
მეორე ეტაპი

# კალენდარი

# მაშ, რამდენი? გადალაგება ლიგიდან ლიგაში

გამოზამთრებულს ქართულმა ფეხბურთმა თასის ადრეული ეტაპებით გაილვიძა, დღეს პირველი ლიგა განახლდება, ორ დღეში კი უმაღლეს ლიგაშიც მეორე ეტაპი დაიწყება.

დღეს ბრძოლას ის გუნდები განაახლებენ, რომელთაგან ორი, ეგებ ოთხიც კი, გაისად უმაღლესი ლიგის ბინადარი იქნება. დებულებით, პირველი ლიგის ორი საუკეთესო გუნდი უმაღლესში პირდაპირ აღზევდება, მესამე-მეოთხეადგილოსნები კი უმაღლეს ლიგაში მე-9 და მე-10 ადგილებზე გასულთ გადასასვლელ პლეი ოფში დაუპირისპირდებიან.

უმაღლესში გადასვლა კი ბარე ცხრილის ნახევარს სურს. ამათგან უკეთესი შანსი „ქობულეთს" და „სამგურალს" აქვთ. ამასთანავე, „ქობულეთი" ერთადერთი პირველლიგელია, თასისთვის ბრძოლას რომ აგრძელებს.

კარგი შანსი აქვთ „ცხინვალს" და „ოლიმპს", თუმცა ამ უკანასკნელს ქულების დაგროვება მხოლოდ მორალურ კმაყოფილებას მიანიჭებს, რაკი „თბილისის" ფარმ-კლუბს უმაღლესში გადასვლის უფლება არ აქვს.

პირველლიგელთაგან ზამთრის არდადეგებისას მოსამზადებლად ყველაზე კარგი პირობები „ამერს" ჰქონდა და მეხუთეადგილოსანიც უმაღლეს ლიგაში გადასვლისთვის იბრძოლებს.

ცხადია, ვერ ჩამოვწერთ უმაღლესი ლიგის ძველ ბინადრებს, „გორდასა" და „მილანს". ხელწამოსაკრავი გუნდი არც „ჩიხურაა".

გავარდნილთაგან კი ერთი გუნდი ფაქტობრივად უკვე ცნობილია — ზესტაფონის „მეტალურგი" უსახსრობით სულს ღაფავს.

სულ პირველ ლიგას ხუთი გუნდი გამოემშვიდობება.

მეტი რა ვთქვათ, თამაშები გახურდება და წამსვლელ-დამრჩენიც მაისის ბოლოს გამოჩნდება.

| | | |
|---|---|---|
| **მეთექვსმეტე ტური** | **ოცდამეერთე ტური** | **ოცდამეექვსე ტური** |
| 16 მარტი, სამშაბათი | 14 აპრილი, ოთხშაბათი | 6 მაისი, ხუთშაბათი |
| ვიტ ჯორჯია მც.—მეტალურგი | ვიტ ჯორჯია მც.—გურია | ლოკომოტივი 2—მილანი |
| ლუკა—ჩიხურა | მეტალურგი—ცხინვალი | გორდა—მეტალურგი |
| გურია—გორდა | მილანი—ქობულეთი | ჩიხურა—სამგურალი |
| ლოკომოტივი 2—ქობულეთი | სამგურალი—ივერია | ამერი—ოლიმპი |
| ოლიმპი—სამგურალი | ჩიხურა—ამერი | თსუ—ვიტ ჯორჯია მც. |
| დინამო 2—მილანი | ოლიმპი—ლუკა | ქობულეთი—დინამო 2 |
| ცხინვალი—თსუ | დინამო2 —ლოკომოტივი 2 | ცხინვალი—გურია |
| ივერია—ამერი | გორდა—თსუ | ივერია—ლუკა |
| **მეჩვიდმეტე ტური** | **ოცდამეორე ტური** | **ოცდამეშვიდე ტური** |
| 20 მარტი, შაბათი | 18 აპრილი, კვირა | 10 მაისი, ორშაბათი |
| ოლიმპი—ლოკომოტივი 2 | თსუ—მილანი | ივერია—ლოკომოტივი 2 |
| მილანი—გურია | ქობულეთი—მეტალურგი | ლუკა—ცხინვალი |
| ჩიხურა—ივერია | ივერია—ოლიმპი | გურია—ქობულეთი |
| ამერი—ცხინვალი | ლუკა—ვიტ ჯორჯია მც. | დინამო 2—თსუ |
| სამგურალი—ვიტ ჯორჯია მც. | ამერი—გორდა | ოლიმპი—ჩიხურა |
| გორდა—ლუკა | გურია—დინამო 2 | სამგურალი—გორდა |
| თსუ—ქობულეთი | ცხინვალი—სამგურალი | მეტალურგი—მილანი |
| მეტალურგი — დინამო 2 | ლოკომოტივი 2—ჩიხურა | ვიტ ჯორჯია მც.— ამერი |
| **მეთვრამეტე ტური** | **ოცდამესამე ტური** | **ოცდამერვე ტური** |
| 27 მარტი, კვირა | 22 აპრილი, ხუთშაბათი | 14 მაისი, პარასკევი |
| ქობულეთი—ამერი | გურია—ლოკომოტივი 2 | მილანი—სამგურალი |
| ცხინვალი—ჩიხურა | ვიტ ჯორჯია მც.—ივერია | ცხინვალი—ივერია |
| ივერია—გორდა | ოლიმპი—ცხინვალი | გორდა—ოლიმპი |
| ვიტ ჯორჯია მც.—ოლიმპი | სამგურალი—ქობულეთი | ჩიხურა—ვიტ ჯორჯია მც. |
| ლუკა—მილანი | მილანი—ამერი | ლოკომოტივი 2—მეტალურგი |
| ლოკომოტივი 2—თსუ | გორდა—ჩიხურა | ამერი—დინამო 2 |
| გურია—მეტალურგი | დინამო 2—ლუკა | თსუ—გურია |
| დინამო 2—სამგურალი | მეტალურგი—თსუ | ქობულეთი—ლუკა |
| **მეცხრამეტე ტური** | **ოცდამეოთხე ტური** | **ოცდამეცხრე ტური** |
| 1 აპრილი, ხუთშაბათი | 26 აპრილი, ორშაბათი | 21 მაისი, პარასკევი |
| ამერი—თსუ | ამერი—მეტალურგი | ცხინვალი—ლოკომოტივი 2 |
| ოლიმპი—დინამო 2 | ლოკომოტივი 2—გორდა | ივერია—ქობულეთი |
| სამგურალი—გურია | ცხინვალი—ვიტ ჯორჯია მც. | ლუკა—თსუ |
| მილანი—ივერია | ივერია—დინამო 2 | გურია—ამერი |
| გორდა—ცხინვალი | ლუკა—გურია | დინამო 2—ჩიხურა |
| ჩიხურა—ქობულეთი | ჩიხურა—მილანი | ვიტ ჯორჯია მც. —გორდა |
| ვიტ ჯორჯია მც.—ლოკომოტივი 2 | თსუ—სამგურალი | ოლიმპი—მილანი |
| მეტალურგი—ლუკა | ქობულეთი—ოლიმპი | სამგურალი—მეტალურგი |
| **მეოცე ტური** | **ოცდამეხუთე ტური** | **ოცდამეათე ტური** |
| 8 აპრილი, ხუთშაბათი | 30 აპრილი, პარასკევი | 25 მაისი, სამშაბათი |
| ლოკომოტივი 2—ამერი | გურია—ივერია | ჩიხურა—გურია |
| თსუ—ჩიხურა | მეტალურგი—ჩიხურა | ქობულეთი—ცხინვალი |
| ქობულეთი—გორდა | მილანი—გორდა | მეტალურგი—ოლიმპი |
| ცხინვალი—მილანი | ოლიმპი—თსუ | ლოკომოტივი 2—სამგურალი |
| ივერია—მეტალურგი | სამგურალი—ამერი | გორდა—დინამო 2 |
| ლუკა—სამგურალი | დინამო 2—ცხინვალი | ამერი—ლუკა |
| დინამო 2—ვიტ ჯორჯია მც. | ვიტ ჯორჯია მც.—ქობულეთი | თსუ—ივერია |
| გურია—ოლიმპი | ლუკა—ლოკომოტივი 2 | მილანი—ვიტ ჯორჯია მც. |



თამაზ კოსტავა და ამერელები

ბაჩო კორძაიას ფოტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

## თამაზ კოსტავა:
# ჩვენი მიზანი უმაღლესი ლიგაა

*ხვალ საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში მეორე წრე იწყება. ზამთრის არდადეგებისას „ამერი" ჯერ თბილისში, თავისსავე საფეხბურთო სკოლაში ვარჯიშობდა, მერე კი ორკვირიანი შეკრება თურქეთშიც გაიარა. „ამერმა" თბილისში ოთხი ამხანაგური მატჩი ჩაატარა უმაღლესი ლიგის გუნდებთან და ოთხიც ანთალიაში გამართა. საქართველოს თასის 1/16 ფინალში რეგიონალლიგის „ურიონის" დამარცხების მერე კი უმაღლესლიგელ „სპარტაკთან" პირველი მატჩი ფრედ ითამაშა, ხოლო საპასუხო წააგო და თასის გათამაშებას გამოეთიშა. ზამთრის შესვენებისას „ამერმა" რამდენიმე ფეხბურთელიც დაიმატა და მეორე წრის დაწყებას გაძლიერებული და კარგად მომზადებული ხვდება.*

*მეორე წრის დაწყების წინ „ამერის" მთავარ მწვრთნელს თამაზ კოსტავას ინტერვიუ ვთხოვეთ*

**— რისთვის იბრძოლებს „ამერი" ამ სეზონში?**

— რადგან ახალდაარსებული კლუბი ვართ, ხელმძღვანელობა მხოლოდ გუნდის შეთამაშებას გვთხოვს. მაგრამ მე არ შემიძლია, სათამაშოდ გავიდე და მიზნად მოგება არ მქონდეს. ამიტომ მინდა, მომდევნო სეზონში უკვე უმაღლეს ლიგაში ვთამაშობდეთ.

**— რეალურად „ამერს" აქვს უმაღლეს ლიგაში გადასვლის ძალა?**

— აქვს. პირველი წრე მეხუთე ადგილზე დავამთავრეთ, რაც ახალი გუნდისთვის ძალიან კარგი შედეგია. ახლა უფრო მეტი გამოცდილება გვაქვს, თანაც რამდენიმე ძლიერი ფეხბურთელი დავიმატეთ. აქედან გამომდინარე, მეორე წრეში უკეთ უნდა ვითამაშოთ, ეს კი უმაღლეს ლიგაში გადასვლის შანსს გვაძლევს.

**— თასის გათამაშებას გამოეთიშეთ...**

— ცხადია, გული დაგვწყდა, მაგრმ ეს ფეხბურთია. თან მეტოქე უმაღლესი ლიგის გუნდის იყო, ჩვენ კი კაიდარაშვილი, რუსია, ვერემჩუკი და ჩიხრაძე გვაკლდნენ. თამაშამდე ორი დღით ადრე მეკარე ნადირაშვილიც დაგვიშავდა და იძულებული გავხდით, კარში 18 დღის უვარჯიშებელი დავით ასლანაძე ჩაგვეყენებინა.

**— ახალწვეულებზე რას იტყვით?**

— რაკი დავიმატეთ, ესე იგი, თავი მოგვაწონეს და ჩავთვალეთ, რომ გუნდს გამოადგებოდნენ. კაიდარაშვილი საქართველოში ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. ხუბუამ და სილაგავამ ფლანგები გააძლიერეს, შონია ნახევარდაცვის ცენტრში ძალიან სასარგებლო. შესანიშნავად თამაშობს მეკარე ნადირაშვილი. ერთსაც დავამატებ — თითოეულ პოზიციაზე პერსპექტიული, 15-16 წლის ბიჭები გვყავს, რომლებსაც სრულიად ვენდობი და დარწმუნებული ვარ, დიდი მომავალი აქვთ, მაგრამ ამ ეტაპზე მათ უფროსი და გამოცდილი ფეხბურთელების მხარდაჭერა სჭირდებათ.

**— ანთალიური შეკრებით კმაყოფილი ხართ?**

— საუკეთესო პირობები გვქონდა. ყველანაირი სტილის გუნდებს შევხვდით. ამასთანავე, ბალახზე დღეში ორჯერადი ვარჯიშის საშუალება გვქონდა, რასაც ზამთარში თბილისში მოკლებული ვიქნებოდით.

**— 16 მარტს ხაშურში „ივერიასთან" მატჩი გაქვთ. როგორ პროგნოზს გააკეთებთ?**

— როგორც ვთქვი, გუნდი მოედანზე მხოლოდ მოსაგებად გამყავს, მაგრამ კონკრეტულ მატჩზე ძალთა თანაფარდობასა და შანსებზე არასდროს ვლაპარაკობ.

**www. fcameri.ge-დან**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნუ ჩქარობთ საკუთარ გასვენებაზე

## ზეედორფმა ზეკაცობა იკისრა



### იტალია

**სერია A. XXV ტური**

**იუვენტუსი 1:3 მილანი**

0:1 შევჩენკო (25), 0:2, 0:3 ზეედორფი (63, 72), 1:3 ფერარა (80)

**იუვენტუსი:** ბუფონი, ტურამი, ფერარა, ლეგროტალიე, პესოტო (მიკოლი 56), კამორანეზი, ტაკინარდი, ა. კონტე, აპია, ნედვედი, დი ვაიო

მწვრთნელი: მარჩელო ლიპი

**მილანი:** დიდა, კაფუ, ნესტა (კოსტაკურტა 16), მალდინი, პანკარო, გატუზო, პირლო, ზეედორფი (რუი კოშტა 77), კაკა, შევჩენკო, ფ. ინძაგი (ამბროზინი 65)

მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი

გაფრთხილება: ტაკინარდი, კამორანეზი, კონტე

მსაჯი: კოლინა

52 000 მაყურებელი

„ჩემს გუნდს ცუდად ნამდვილად არ უთამაშია და მეტოქის კართან უხვადაც შექმნა მომენტები, მაგრამ იღბალმა არც ჩვენი შეტევებისას გაგვიღიმა და არც თავდაცვის დროს, როდესაც კლარენს ზეედორფის დარტყმული ბურთი ჩვენი მცველის ფეხმა აისხლიტა და ბადეში შევარდა" — თქვა მარჩელო ლიპიმ, რომლის „იუვენტუსიც" კვირა საღამოს სკუდეტოსთვის ბრძოლას გამოეთხოვა და ეს, ცხადია, მწვრთნელსაც კარგად მოეხსენება:

„ამიერიდან ჩვენი ამოცანა მეორე ადგილზე გასვლაა, რადგან სკუდეტოსთვის ცხრაქულიანი ჩამორჩენის გამოსწორება მოუწევს, ეს კი უკვე მეტისმეტია. ახლა, ყველაზე გონივრული დამარცხების აღიარება და იტალიის თასის ფინალზე ზრუნვაა. ეს მნიშვნელოვანი ჯილდოა, რომელიც ნამდვილად გვინდა რომ მოვიგოთ".

„სტადიო დელე ალპიზე" სერია A-ს, ალბათ, მთელი სეზონის ყველაზე მნიშვნელოვანი თამაში „ბებერმა ქალბატონმა" ცუდად ნამდვილად არ დაიწყო, უტევდა და მართლაც სახიფათოდ ტრიალებდა „შავ-წითლების" კარის სიახლოვეს, მაგრამ ვერ გეტყვით იმის გამო, რომ წლევანდელი პაველ ნედვედი ძალიან ჩამოუვარდება შარშანდელს თუ იმიტომ, რომ ტურინელთა თავდასხმა მარკო დი ვაიოს და ფაბრიციო მიკოლის ამარა და დარჩა (დავიდ ტრეზეგეც დაშავებულია და ალესანდრო დელ პიეროც), ამ შეტევებს კონკრეტული, ზუსტი დაბოლოება აკლდა.

„მილანსაც" ეს უნდოდა, ამ ყოვლად დაბალანსებულ, ზოგადადაც ძლიერ და ამჟამად ჩინებულ ფორმაში მყოფ გუნდს სწრაფი, ლონიერი კონტრშეტევების ჩატარება დიახაც, რომ ეხერხება, მით უფრო, წინ ანდრეი შევჩენკო ჰყავს და პლუს... მისთვის წინააღმდეგობა „იუვეს" ყოვლად არეულ-დაბერებულ დაცვას უნდა გაეწია, რისი დაძლევაც თეორიულად ხომ სრულიად შესაძლებელი ჩანდა და პრაქტიკულადაც ასეთი გამოდგა.

ამას თუ კლარენს ზეედორფის მართლაც კარგ თამაშსაც დავამატებთ და იმასაც დავუშვებთ, რაც ლიპიმ იღბალთან დაკავშირებით თქვა, შეხვედრის შედეგი და ანგარიშიც კი სრულიად გასაგები გახდება.

„მილანმა" დიდებული ფეხბურთი ითამაშა — განაგრძო ლიპიმ, რომელსაც დელ პიეროს და ტრეზეგეს გარდა ჯანლუკა ძამბროტაც აკლდა — ჩვენ კი მხოლოდ გულისწუხილი შეიძლება გამოვთქვათ იმის გამო, რომ სეზონის ასეთ მნიშვნელოვან მონაკვეთს ამდენი წამყვანი ფეხბურთელის გარეშე შევხვდით. მეორე მხრივ, ვიმეორებ, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ამ შეხვედრაში „იუვემ" კარგად ითამაშა, განსაკუთრებით პირველ ტაიმში, თავის მოკვლის და გასვენების საბაბს არ გვაძლევს".

კარლო ანჩელოტიმ, ფაქტობრივად, გაიმეორა ლიპის ბოლო სიტყვები: „მასპინძლებმა მართლაც ძალიან კარგად ითამაშეს. ისინი ჩამოსაწერნი აშკარად არ გახლავან. რაც შეეხება კლარენს ზეედორფს, რომლის როლს ჩვენს დღევანდელ გამარჯვებაში საგანგებოს უწოდებენ, მინდა გითხრათ, რომ მან მართლაც ჩინებულად ითამაშა, მაგრამ ზოგადად, როდესაც გუნდი ჩემპიონატში იმდენ ქულას აგროვებს, რამდენიც დღეისათვის ჩვენ უკვე მოგროვებული გვაქვს, ცალკეულ ფეხბურთელებზე ველარ ილაპარაკებ. აქ ერთსულოვნად მთელი გუნდი მუშაობს და მე ამ გუნდის გაძღოლა მსიამოვნებს. „იუვენტუსთან" გამარჯვება უმნიშვნელოვანესი იმიტომაც იყო, რომ ბოლო პერიოდში, საკმაოდ მოკლე დროში, ბევრ პირველხარისხოვან გუნდს ვაჯობეთ და ეს სვლა არც ტურინში შეგვიწყვეტია. გარწმუნებთ, ამ სეზონის პირველი ექვსი თვის განმავლობაში ენერგიას ისეთი სიფრთხილით ვხარჯავდით, რომ ახლა, ბოლო მონაკვეთში, თავს საკმაოდ ჯანსაღად ვგრძნობთ".

**პაპუნა ბედია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მილანი | 25 | 20 | 4 | 1 | 50:15 | 64 |
| რომა | 25 | 17 | 6 | 2 | 55:11 | 57 |
| იუვენტუსი | 25 | 17 | 4 | 4 | 51:30 | 55 |
| ლაციო | 24 | 12 | 5 | 7 | 35:25 | 41 |
| პარმა | 25 | 11 | 8 | 6 | 37:34 | 41 |
| უდინეზე | 25 | 10 | 8 | 7 | 31:28 | 38 |
| ინტერი | 25 | 10 | 7 | 8 | 40:27 | 37 |
| სამპდორია | 25 | 9 | 9 | 7 | 32:31 | 36 |
| კიევო | 25 | 8 | 7 | 10 | 25:27 | 31 |
| ბრეშა | 25 | 6 | 10 | 9 | 37:41 | 28 |
| ლეჩე | 25 | 7 | 6 | 12 | 28:39 | 27 |
| სიენა | 25 | 6 | 8 | 11 | 31:38 | 26 |
| ბოლონია | 24 | 6 | 7 | 11 | 27:36 | 25 |
| მოდენა | 25 | 5 | 10 | 10 | 21:32 | 25 |
| რეჯინა | 25 | 4 | 12 | 9 | 20:34 | 24 |
| ემპოლი | 25 | 5 | 7 | 13 | 18:39 | 22 |
| პერუჯა | 25 | 2 | 13 | 10 | 31:44 | 19 |
| ანკონა | 25 | 0 | 7 | 18 | 11:49 | 7 |

| ბომბარდირები | |
|---|---|
| შევჩენკო (მილანი) | 18 |
| ტოტი (რომა) | 15 |
| ჩევანტონი (ლეჩე) | 13 |
| ტრეზეგე (იუვენტუსი) | 12 |
| ვიერი (ინტერი) | 12 |



მილანელ კაკას ნიკოლა ლეგროტალიემ ბურთისკენ გზა ასე გადაუღობა





ფაბიო კაპელოს კრისტიან პანუჩი გაუჯიუტდა

# ეს საწყალი კაპელო...

## პანუჩი უქნევდა, კასანო აგინებდა

ფაბიო კაპელომ დაადასტურა, რომ „რომას" მცველი, კრისტიან პანუჩი დაჯარიმდება, რადგან კვირას, რეჯო კლაბრიაში, „რეჯინას" წინააღმდეგ თამაშზე უარი განაცხადა.

„პანუჩის მოედანზე შესვლა არ უნდოდა" — აღიარა მწვრთნელმა ზემოხსენებული შეხვედრის 0:0 დასრულების შემდეგ.

საინტერესოა, რომ მწვრთნელისა და ფეხბურთელის საუბარი ტელეკამერამ დააფიქსირა. აშკარად ჩანდა, რომ კაპელო პანუჩის შეცვლაზე შესვლას სთხოვდა, ის კი უარის ნიშნად თავს აქნევდა.

„კამათი ან დისკუსია არ ყოფილა — თქვა ტაქტიკოსმა — ის უბრალოდ დაჯარიმდება და ეს ძალიან მარტივი საქმეა".

შეგახსენებთ, რომ პანუჩი ის ფეხბურთელია, რომელიც კაპელომ „მილანიდან" „რეალში" წაიყვანა, ხოლო „რომაში" მისვლის შემდეგ საფრანგეთში იპოვა და ისევ თავისთან იხმო.

და არანაკლებ საინტერესო გახლდათ „სტადიო გარილიზე" დატრიალებული მეორე ეპიზოდი. ეს ეპიზოდიც ტელეკამერამ დააფიქსირა: კაპელოს ანტონიო კასანო აგინებდა.

„ის თანამსაჯს ედავებოდა, მე კი დაწყნარებას ვლამობდი" — ახსნა მწვრთნელმა.

**პაპუნა ბედია**

### უკრაინა

**უმაღლესი ლიგა. XVI ტური**

**დინამო 0:0 ტავრია**

**შახტარი 2:0 მეტალურგი (დ)**

1:0 ბრანდაუ (36პ), 2:0 ლევანდოვსკი (59)

**ილიჩევეცი 1:0 ვორსკლა**

1:0 კონიუშენკო (40)

**ზვეზდა 1:1 ჩერნომორეცი**

0:1 კოსირინი (8), 1:1 კირილოვი (55)

**კარპატი 0:0 არსენალი**

**ბორისფენი 2:1 კრივბასი**

1:0 ანენკოვი (9), 2:0 მელნიკი (51), 2:1 სალახოვიჩი (53)

**მეტალურგი (ზ) 0:0 დნიპრო**

**ობოლონი 1:0 ვოლინი**

1:0 კობზარი (42)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შახტარი | 16 | 13 | 3 | 0 | 35:10 | 42 |
| დინამო | 16 | 11 | 4 | 1 | 34:10 | 37 |
| დნიპრო | 16 | 9 | 4 | 3 | 27:12 | 31 |
| მეტალურგი (დ) | 16 | 7 | 5 | 4 | 25:20 | 26 |
| ობოლონი | 16 | 7 | 4 | 5 | 17:17 | 25 |
| ჩერნომორეცი | 16 | 5 | 9 | 2 | 20:18 | 24 |
| არსენალი | 16 | 6 | 4 | 6 | 20:19 | 22 |
| ილიჩევეცი | 16 | 4 | 7 | 5 | 18:22 | 19 |
| ბორისფენი | 16 | 5 | 3 | 8 | 10:17 | 18 |
| კარპატი | 16 | 4 | 5 | 7 | 16:20 | 17 |
| მეტალურგი (ზ) | 16 | 4 | 5 | 7 | 13:19 | 17 |
| ვორსკლა | 16 | 4 | 5 | 7 | 12:21 | 17 |
| კრივბასი | 16 | 3 | 5 | 8 | 11:20 | 14 |
| ვოლინი | 16 | 3 | 3 | 10 | 11:24 | 12 |
| ტავრია | 16 | 2 | 6 | 8 | 7:15 | 12 |
| ზვეზდა | 16 | 2 | 6 | 8 | 8:19 | 12 |

### 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი. კონკაკაფი

**საპასუხო მატჩი**

**გაიანა 1:3 გრენადა (0:5)**

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

### უნგრეთი

**ბორსოდი ლიგა XVIII ტური**

ფერენცვაროში — ზალაეგერსეგი 0:0; დიორ ეტო — შოპრონი 3:1; პეჩი — დებრეცენი 0:0; ვიდეოტონი — ბეკეშჩაბა 1:2; ბალატონი — მტკ 0:2. პალადაში — უიპეშტი დღეს გაიმართება

### მექსიკა

**კლაუსურა. X ტური**

ვერაკრუსი — მორელია 0:1; კრუზ ასული — კერეტარო 2:0; მონტერეი — ხაგუარესი 0:1; ნეკაქსა — გვადალახარა 3:0; ატლასი — სანტოს ლაგუნა 2:0; ტეკოსი — პაჩუკა 2:5; უნამი — ტიგრესი 2:1; ირაპუატო — სან ლუისი 3:1; პუებლა — ტოლუკა 1:2; ამერიკა — ატლანტე 1:1

### სერბეთი

**პრვა ლიგა. XIX ტური**

ჰაიდუკი — ზემუნი 3:1; ნაპრედაკი — ბუდუჩნოსტი 0:1; ოფკ — პარტიზანი 1:1; ცრვენა ზვეზდა — კომი 2:0; სარტიდი — ჟელეზნიკი 0:0; ვოივოდინა — ბორაცი 1:2; ზეტა — რადნიჩკი 4:2

### ხორვატია

**I ლიგა. XXI ტური**

ციბალია — დინამო 0:1; ჰაიდუკი — სლავენი 2:1; ინტერი — მარსონია 1:1; ზაგრები — ოსიეკი 0:0; კამენი — რიეკა 0:1; ვარტექსი — ზადარი 3:2

### სლოვენია

**სი მობილ ლიგა გადადებული მატჩები**

პრიმორიე — ოლიმპია 4:2; დომზალე — დრავოგრადი 3:0; ლიუბლიანა — პუბლიკუმი 2:1

### სლოვაკეთი

**I ლიგა. XXI ტური**

ბანსკა ბისტრიცა — სლოვანი 1:1; ინტერი — პუხოვი 1:0; ტრენჩინი — რუზომბეროკი 1:1; პეტრჟალკა — დუბნიცა 1:1; ტრნავა — ჟილინა 2:1

# გოლს ითხოვთ? ინებეთ!
## სელტას რუფეტე კამათში გაეპარა

REUTERS




ვიგოელთა მეგოლეს სავო მილოშევიჩს
მაურისიო პელეგრინომ გასაქანი არ მისცა

**ესპანეთი**
**პრიმერადივიზიონი**
**XXVIII ტური**

**სელტა 0:2 ვალენსია**
0:1, 0:2 რუფეტე (41, 90)
**სელტა:** კავალიერო, ველასკო, ბერიცო, ანხელი (მოსტოვოი 66), სერხიო, ისრაელ დელგადო, გუსტავო ლოპესი (ხესული 66), ხოსე იგნასიო (იაგო ბუზიონი 80), ედუ, მილოშევიჩი, ილიჩი
**მწვრთნელი:** რადომირ ანტიჩი
**ვალენსია:** კანისარესი, პელეგრინო, მარჩენა, კარბონი, კურო ტორესი, ალბელდა, ბარახა, ვისენტე (ხუან სანჩესი 89), რუფეტე, ანგულო (ხისკო 76), მისტა (სისოკო 68)
**მწვრთნელი:** რაფაელ ბენიტესი
**გაფრთხილება:** ბარახა, ილიჩი, კურო ტორესი, რუფეტე, ბერიცო
**მსაჯი:** რამირეს დომინგესი
25 076 მაყურებელი

**კვირას საღამოს,** თბილისი დროით კი გვიან ღამით, „ვალენსიამ" „რეალის" დასაწევად კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა და ჩამორჩენა ოთხ ქულამდე შეკვეცა. ვალენსიელთა გულშემატკივრები და მადრიდელთა მოძულენი იმასაც უთუოდ გაიხსენებენ, როგორ მოჰპარეს „ვალენსიას" სამი ქულა „სანტიაგო ბერნაბეუზე" ბოლო წამებზე დანიშნული ტყუილი პენალტით და გამოითვლიან, რომ ამ გუნდებს შორის სხვაობა, სადაც სამართალია, ერთი ქულა უნდა იყოს.

თუმცა ამაზე ლაპარაკს აზრი არ აქვს და „ვალენსიას" საკვირაო მატჩს გადავწვდეთ, რომელშიც ჩემპიონობის მაძიებელმა „სელტა" დაიბრიყვა.

მთავარი ამბები ვიგოში წამატებულ დროში დატრიალდა. „ვალენსია" იგებდა და მასპინძლებიც, რასაკვირველია, მედგრად უტევდნენ გასათანაბრებლად. ერთ-ერთი ბოლო შეტევისას ვიგოელი ხესული ვალენსიელთა საჯარიმოში წაიქცა და ცხადია, მთელმა გუნდმა მხარი აუბა, პენალტიაო. მაგრამ მსაჯს არ დაუსტვენია, რამდენიმე წამში კი ყოველგვარ პროტესტს აზრი ჰქონდა დაკარგული — რუფეტემ, ვისი გოლითაც „ვალენსია" იგებდა, მეორეც გაიტანა.

ზემოთ სამართალი ვახსენეთ და, „ვალენსიამ" ეს მატჩი სამართლიანად მოიგო. იმ ორი გოლის გარდა, დავიდ ალბელდას და რუბენ ბარახას ჰქონდათ საუკეთესო მომენტები.

„ვალენსიას" ზევით სვლის საპირისპიროდ, „სელტა "დაბლა მიექანება და გასავარდნ ზონასთან ხუთი ქულალა აშორებს.

**კოტე კეკელია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 28 | 18 | 7 | 3 | 55:30 | 61 |
| ვალენსია | 28 | 17 | 6 | 5 | 52:20 | 57 |
| ბარსელონა | 28 | 15 | 7 | 6 | 47:32 | 52 |
| დეპორტივო | 28 | 15 | 5 | 8 | 45:27 | 50 |
| ბილბაო | 28 | 11 | 8 | 9 | 35:35 | 41 |
| ატლეტიკო | 28 | 11 | 8 | 9 | 34:34 | 41 |
| ოსასუნა | 28 | 9 | 13 | 6 | 28:24 | 40 |
| ვილიარეალი | 28 | 11 | 6 | 11 | 38:38 | 39 |
| სევილია | 28 | 10 | 8 | 10 | 38:30 | 38 |
| ბეტისი | 28 | 9 | 11 | 8 | 35:30 | 38 |
| მალაგა | 28 | 12 | 2 | 14 | 38:42 | 38 |
| რასინგი | 28 | 10 | 7 | 11 | 35:40 | 37 |
| ვალიადოლიდი | 28 | 9 | 8 | 11 | 35:39 | 35 |
| სოსიედადი | 28 | 9 | 8 | 11 | 33:39 | 35 |
| სარაგოსა | 28 | 9 | 6 | 13 | 31:38 | 33 |
| ალბასეტე | 28 | 9 | 5 | 14 | 27:36 | 32 |
| მალიორკა | 28 | 9 | 5 | 14 | 35:49 | 32 |
| სელტა | 28 | 6 | 9 | 13 | 36:53 | 27 |
| ესპანიოლი | 28 | 8 | 2 | 18 | 31:50 | 26 |
| მურსია | 28 | 2 | 11 | 15 | 23:45 | 17 |

REUTERS



რივერი პლეიტი — ბანფილდი. სტუმარი დანიელ ბილოსის ეს „მაკრატელა" უზუსტო გამოდგა

# აი, აკადემიკოსი!
## რივერის მილიონები ბანფილდმა შეჭამა

**არგენტინა**
**კლაუსურა. V ტური**

**ინდეპენდიენტე — კილმესი 3:1; ტალიერესი — ხიმნასია 1:0; ატლეტიკო — სან ლორენსო 0:0; ლანუსი — როსარიო 3:0; რივერ პლეიტი — ბანფილდი 2:3; ოლდ ბოიზი — არსენალი 1:1; ესტუდიანტესი — ოლიმპო 3:1; ნუევა ჩიკაგო — კოლონი 1:0; რასინგი — ველესი 3:2. *ჩაკარიტა — ბოკა ხუნიორსი დღეს გაიმართება***

„რივერ პლეიტმა" მძიმე საბრძოლო მარცხი იგემა შინ, „ბანფილდთან" და ამ ამბავში საკვირველი ისიც იყო, რომ ამ კლაუსურაში პირველად „რივერმა" სასტარტოშივე გამოიყვანა სამი მთავარი კაცი: მარსელო გალიარდო, მარსელო სალასი და ფერნანდო კავენაგი, რაც პირველად მოხერხდა ამ სეზონში.

„რივერის" ფანობა ნუგბარ სანახაობას ელოდა „მონუმენტალზე" და თამაშსაც ასეთივე პირი უჩანდა, რადგან უკვე მე-8 წუთზე გილერმო პერესმა გახსნა ანგარიში. თუმცა, „ბანფილდმა" მეორე ტაიმში გაათანაბრა და წინაც გავიდა. სტუმართა ომარ პერესმა ორი გოლი გაიტანა სამწუთიან მონაკვეთში და საბოლოოდ „რივერმა" 2:3 წააგო. პერესის გოლებს სალასის საუცხოო პასუხი მოჰყვა, ოთხ მატჩში მეოთხე. თუმცა, ბანფილდელმა შემცვლელმა ედუარდო ბუსტოს მონტოიამ კონტრშეტევა გამოიყენა და „მონუმენტალი" წააქცინა. ეს იყო მილიონერთა პირველი მარცხი ამ კლაუსურაში და „რივერი" უცებ სამი ქულით ჩამორჩა ლიდერ „ტალიერესს", რომელმაც შემცვლელ პაბლო კუბას გვიანი გოლით მოუგო ლაპლატელ გიმნაზიელებს, რომლებიც ათი კაცითლა ებრძოდნენ მოულოდნელად წამოქაჩულ კორდობელებს.

„რივერს" კი „რასინგ კლუბი" წამოეწია, რომელმაც ასევე ათი კაცით დარჩენილ „ველეს სარსფილდს" ასევე 3:2 მოუგო. ამ მღვრიე მატჩში მსაჯმა სამჯერ დაარტყმევინა პენალტი რასინგელ გასტონ ფერნანდესს, რახან მისი თანაგუნდელები ვადაზე ადრე შერბოდნენ საჯარიმოში. ფერნანდესმა სამივეჯერ გაიტანა, მესამე ჩაუთვალეს და ეს იყო მე-80 წუთი, ხოლო ანგარიში კი 3:1 შეიქნა „აკადემიკოსთა" სასარგებლოდ, რომელთაც ახლა უბადლო ფილოლი წვრთნის. „ველესმა" მსაჯის დამატებულში გაქვითა ერთი გოლი.

კარლოს ბილარდოს „ესტუდიანტესმა" ერნესტო ფარიასის ჰეთ-თრიქით 3:1 მოუგო „ოლიმპოს", თუმცა ბილარდომ ფაუსტინო ასპრილია განაცხადშიაც კი არ შეიყვანა, ფორმაში არ არისო.

**ონორიო ბუსტოს დომეკი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტალიერესი | 5 | 4 | 1 | 0 | 13:4 | 13 |
| რივერ პლეიტი | 5 | 3 | 1 | 1 | 14:8 | 10 |
| რასინგი | 5 | 3 | 1 | 1 | 10:6 | 10 |
| ნუევა ჩიკაგო | 5 | 2 | 3 | 0 | 8:6 | 9 |
| ველესი | 5 | 2 | 2 | 1 | 12:9 | 8 |
| ბოკა ხუნიორსი | 4 | 2 | 2 | 0 | 7:5 | 8 |
| სან ლორენსო | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 8 |
| ინდეპენდიენტე | 5 | 2 | 1 | 2 | 9:8 | 7 |
| ლანუსი | 5 | 2 | 1 | 2 | 8:7 | 7 |
| ბანფილდი | 5 | 2 | 1 | 2 | 7:7 | 7 |
| კოლონი | 5 | 2 | 1 | 2 | 6:9 | 7 |
| ესტუდიანტესი | 5 | 2 | 1 | 2 | 5:8 | 7 |
| ხიმნასია | 5 | 1 | 2 | 2 | 6:3 | 5 |
| არსენალი | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | 5 |
| ოლდ ბოიზი | 5 | 0 | 4 | 1 | 8:9 | 4 |
| როსარიო | 5 | 1 | 1 | 3 | 5:10 | 4 |
| ოლიმპო | 5 | 1 | 1 | 3 | 6:12 | 4 |
| კილმესი | 5 | 0 | 3 | 2 | 5:8 | 3 |
| ჩაკარიტა | 4 | 0 | 2 | 2 | 4:11 | 2 |
| ატლეტიკო | 5 | 0 | 2 | 3 | 3:7 | 2 |

# რომარიოს ძირფესვიანი აპრილი

**რომარიოს** კარიერა ნელ-ნელა დასასრულისკენ მიდის. 38 წლის მოთამაშემ უკვე დიდი ხანია, ოდინდელი სიკაშკაშე დაკარგა და ახლა ქომაგთაგან მხოლოდ ლანძღვა-გინების კორიანტელს იღებს.

ამას წინათ, ბრაზილიის ჩემპიონატის მორიგ ტურში, „ფლუმინენსეს" გულშემატკივრები „ვასკუ და გამასთან" რომარიოს უნდილმა გარჯამ გააცოფა და მისი მისამართით შეძახილთა მთელი ნიაღვარი გამოიწვია. „ექსბარსელონელი მძიმე ფსიქოლოგიურ კრიზისშია. მან ამჟამინდელი კლუბის შემადგენლობაში ტრავმების გამო საამსეზონო 12 მატჩიდან მხოლოდ 7 ჩაატარა. ფეხბურთელთან დაახლოებული პირები ირწმუნებიან, რომ რომარიო აპრილში კარიერას დასრულებას აპირებს" — აცხადებს ბრაზილიური O ESTADO DE SAO PANLO.

ძველჩაუქი ბრაზილეირო „ფლუმინენსეს" სალაროდან თვეში 70 ათას დოლარს იღებს. იგი გუნდის ყველაზე მაღალხელფასიანი მოთამაშეა, ეს კი ქომაგებს ძალიან არ მოსწონთ — ერთ დროს გოლებზე დაგეშილი მეკარეთა რისხვა წლეულს 3 უსახურ გოლს ითვლის...



წმინდა საფეხბურთო პრობლემების გარდა, რომარიოს ჭარმაგ მხრებზე ვეებერთელა ფინანსური სიძნელეებიც აწევს — აპრილში მონიკასთან, ყოფილ მეუღლესთან ელის სასამართლო პროცესი, სადაც საკმაოდ უხერხულ კითხვებს დაუსვამენ. ვარსკვლავი შვილებს, რომარინიოს და მონიკინიას თურმე ალიმენტებს არ უხდის. გასულ კვირას კი შვეიცარიაშიც იმოგზაურა და იქ მავან პოლონელ იმპრესარიოს თაღლითობასა და 5 მილიონი დოლარის „მოტეხვაში" დასდო ბრალი.

აშკარაა, ჭირვეული ხასიათით ცნობილ რომარიოს ცხოვრებაში უმძიმესი აპრილის გადალახვა მოუწევს.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# არის კაცი!

## მარტინ ონილს ინგლისის ნაკრებს სთავაზობენ

**ამ ორი კვირის** განმავლობაში ინგლისის ნაკრების მწვრთნელი სვენ გორან ერიკსონი ფეხბურთის ასოციაციის შეფს, მარკ პელიოსს შეხვდება, რათა მასთან თავისი თანამდებობისა და კონტრაქტის ევროპის ჩემპიონატის შემდგომი საკითხები განიხილოს. ერიკსონს ზაფხულში უმთავრდება კონტრაქტი და ბევრი ამბობს, რომ ასოციაციას მისი განახლება სურს. თუმცა, ისიც ცნობილია, რომ შვედს რომან აბრამოვიჩი უმიზნებს.

ამიტომ, ასოციაციაში, თურმე უკვე არსებობს ახალ მენეჯერთა სავარაუდო სია, რომლის სათავეშიც „სელტიკის" თავკაცი მარტინ ონილი მოქცეულა. თუ შვედი წავა, ასოციაციას ურჩევნია, რომ მწვრთნელად ბრიტანელი მიიყვანოს. ონილი ირლანდიელია, მის ხელში „სელტიკი" მესამე ხდება შოტლანდიის ჩემპიონი. გუნდმა შარშან უეფას თასის ფინალს უწია, საკუთარ სტადიონზე 74 თამაშია არ წაუგია. გასულ ხუთშაბათს „სელტიკმა" „ბარსელონაც" კი დაამარცხა.

ონილს ინგლისურ საკლუბო ფეხბურთში საუკეთესო თანამდებობებს სთავაზობენ, „მანჩესტერის" და „ლივერპულის" მენეჯერობასაც კი.

თუ ერიკსონი წავა, ასოციაციას შემცვლელი უკვე მზად უნდა ჰყავდეს. ონილი მართლაც საუკეთესო კაცად ჩანს. გლაზგოში მუშაობის მიუხედავად მას ინგლისურ ფეხბურთთან კავშირი არ გაუწყვეტია და ბობოლა მოთამაშეები, ვთქვათ დევიდ ბექემი, დიდ პატივს სცემენ ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა მოურჯულებულ „ლესტერს" თავკაცობდა, რომელსაც ლიგის თასი მოაგებინა.

არაოფიციალურ სიაში მის გარდა კიდევ ერთი ბრიტი კანდიდატია — „ბოროს" მენეჯერი სტივ მაკლარენი. ამათ მოსდევენ ოტმარ ჰიცფელდი, მარჩელო ლიპი და ფაბიო კაპელო.

თუმცა, თუ მაინცდამაინც ბრიტანელი უნდათ — ონილი ყველაზე რეალურ და სასურველ კაცად ჩანს. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ინგლისელები ორ-ორჯერ უნდა ეთამაშონ ჩრდილოირლანდიელებს და უელსელებს, ვისთან ბრძოლისასაც ბრიტანელ მწვრთნელს გარკვეული უპირატესობა უჩანს.

**ირაკლი გამყრელიძე**



# სინკლერმა სექსი აღიარა

*აი, ახლა გვჭირდება ძალიან დიდი სიფრთხილე და სიტყვის ფლობის ტექნიკა, რადგან ის, რის მოყოლასაც საფეხბურთო გაუპატიურების საქმეზე ვაპირებთ, ერთობ უხერხულია, იმავდროულად კი ამბის ნაწილი გახლავთ. ერთი სიტყვით, რაკილა თხრობა დაწყებული გვაქვს და თემას ნომრიდან ნომერში არ მოვრიდებივართ, ახლა მორიდება სწორად აღარ მიგვაჩნია, თუმცა ყველაფრის თავისი სიტყვებით თქმაც არ ივარგებს, ეს უკვე სხვა ჟანრი გამოვა*

## გაიცანით



რუთი



ბეატრისი



მარტა

**თქმით** კი ლესტერელ ფეხბურთელთა ტრიოს ერთ-ერთი წევრის, 32 წლის ფრენკ სინკლერის იმდღევანდელ თავგადასავალზე გვინდოდა გვეთქვა. შეგახსენებთ, რომ ტრიო დიდძალი თანხის სანაცვლოდ, მხოლოდ და მხოლოდ, თავდებით არის გამოშვებული, თორემ სამი ფერადკანიანი ქალის გაუპატიურების ბრალდება მათ წინააღმდეგ კიდევ არსებობს და სასამართლო განხილვაც წინაა.

როგორც გაირკვა, სინკლერს ერთ-ერთ დაზარალებულთან მართლა ჰქონია ურთიერთობა და ეს ამბავი ესპანელი მოსამართლისთვის, ხაკინტო არესტესთვის უთქვამს. ხოლო ცნობა სინკლერის თავდაგადასავლის შესახებ მისი საცოლისთვის, 34 წლის ნიკოლა ვილიანსისთვის მოულოდნელი და გამაოგნებელი აღმოჩნდა. ქალბატონი ვილიანსი ორი პატარა სინკლერის დედაა, იგი ჟურნალისტებმა უიბრიჯში გამოიჭირეს სიტყვის გასაცვლელად:

„ეგ ამბავი პირველად ახლა გავიგე. არაფერი ვიცი, ამ საქმეზე ადრეც არაფერი განმიცხადებია და არც ახლა მაქვს რაიმე სათქმელი. ვერც ფრენკის ნაცვლად ვილაპარაკებ, იგი აქ არ არის, ლესტერშია და ხვალაც იქ იქნება. სჯობს მას ჰკითხოთ" — წაილუღლუღა მის ვილიანსმა, ჩვენ კი ესპანეთის სასამართლოში დავბრუნდეთ, სადაც მოსამართლე არესტემ ლესტერელი ფეხბურთელი დაჰკითხა.

— გქონდათ თუ არა სქესობრივი კავშირი სამი ქალიდან რომელიმესთან? — უკითხავს მოსამართლეს, რომლისთვისაც მნიშვნელოვანი ყოფილა სინკლერის პასუხი სხვა კითხვაზე — უნდა ჩაატაროს თუ არა ცნობილი სასტუმროს ცნობილ ნომერში სასამართლომ ექსპერტიზა და თუ უნდა ჩაატაროს, კონკრეტულად სად. ცნობისთვის, ესპანეთის სასამართლომ სამივე ფეხბურთელსა და სამივე ქალს სისხლის ანალიზი აუღო და დაახლოებით ერთი თვის შემდეგ იტყვის, იპოვნა თუ არა მათი დნმ-ის კვალი სადმე სასტუმროს ოთახში. სინკლერს მიუგია, რომ სამი ქალიდან ერთს წაელლაბუცა, თუმცა სრულყოფილი ურთიერთობა არ ჰქონია. სინკლერს დაუძენია, რომ ქალები მეძავეები არ იყვნენ, ისინი ბიჭებთან მხოლოდ კეთილი ნებით ერთობოდნენ, ფულად კი არა, თუმცა, როგორც ირკვევა, საუბარი კიდევ ერთი ღლით დარჩენაზე და „თავის გაგიჟებაზე", ოღონდ უკვე თანხის საფასურად, ქალებსა და ფეხბურთელებს შორის მოგვიანებით მაინც ყოფილა, რაზეც ბიჭებს უარი უთქვამთ.

და, რაც ძალიან გვართობს: ამიერიდან 36 წლის ქალს, სამი შვილის დედას, რომელმაც ვფიქრობთ, უკვე გაითქვა სახელი ჩვენს თითქმის ყოველ წერილში მონაწილეობით, იმით, რომ ტრეფიკინგის მაფიის წევრია და იმითაც, რომ სინკლერთან ღლაბუცამდე სულ ცოტა ხნით ადრე „ლესტერის" კიდევ ერთ ფეხბურთელთან, გერმანელ შტეფან ფროინდთან ჰქონდა ნამდვილი სქესობრივი კავშირი, ამიერიდან მადამ 36-ს კი არა, ნამდვილ სახელს ვუწოდებთ — მას რუთ ლურენსი ჰქვიებია.

დავძენთ: სამივე ქალი აფრიკელია, მაგრამ გერმანიაში, კერძოდ კიოლნში ცხოვრობს. რუთ ლურენსის გარდა ამ ისტორიაში მონაწილეობდნენ 31 წლის ბეატრის ვანჟირი და 37 წლის მარტა ვილბერტი — პირველი ეროვნებით მალაველია, ხოლო მეორე და მესამე კენიელი.

ინგლისელმა ჟურნალისტებმა ქალების წარსული გაქექეს, ოღონდ, რომ ვთქვათ, რაიმე სენსაციური მოიძიესო, ვფიქრობთ, სწორი არ ვიქნებით. გაირკვა, რომ რუთ ლურენსის ჰყავდა გერმანელი ქმარი, იორგი, რომელმაც მეუღლე 1999 წელს დასტოვა. დატოვების მიზეზი რუთის დაპატიმრება გახლავთ, ხოლო დაპატიმრების მიზეზი ის ისტორიაა, რომელიც წინა წერილებში მოვყევით — ორი მალაველი თინეიჯერი გოგოს ევროპაში მეძავ-მონებად გაყიდვა. მოგეხსენებათ, სასამართლო რუთ ლურენსის წინააღმდეგ მაშინ ჩაიშალა თუ გადაიდო, ხოლო შემდეგ, როდესაც საქმის ხელახლა წამოწევის საფრთხე წარმოიშვა, რუთი მალავიდან გადაიკარგა.

კენიელი ქალების ამბავი კი ის არის, რომ მეძავობას ორივენი სასტიკად უარყოფენ, არადა მათი წარსული საპირისპიროს მეტყველებს. ბეატრის ვანჟირო 1995 წელს ნაირობის პოლიციამ როსკიპთა უბანში ძალიან მოკლე კაბითა და საშინელი მაკიაჟით დააკავა, მაგრამ რომ შეიტყო, ის მუნიციპალური სამსახურის თანამშრომელი იყო, ბოდიშით გაათავისუფლა.

ნაირობიში არის კლუბი „ნიუ ფლორიდა", რომლის მეპატრონემ ზუსტად გაიხსენა, რომ როგორც ბეატრის ვანჟირო, ასევე მარტა ვილბერტი მთელი ხუთი წლის განმავლობაში ძირითადად თეთრკანიანი კაცების გამოჭერას ცდილობდნენ. კლუბის მეპატრონემ თქვა, რომ ისინი როგორც სერიოზული ქალები მდიდარ უცხოელთა ფულზე ცხოვრობდნენ.

ხოლო შემდეგ მარტამ და ბეატრისმა მომბასაში გერმანელები გაიცნეს და გათხოვდნენ.

**პაპუნა ძიდია**





ფრენკ სინკლერს ცოლისთვის თვალი ვეღარ გაუსწორებია

## ...და ან ცაზე ვარსკვლავები

# ჟან ტიგანა

*დავიწყოთ ასე: იმ წლებში, როდესაც ჰოლანდიის ნაკრებმა მსოფლიო ტოტალური ფეხბურთით დაატყვევა, მაშინ, როდესაც ყველგან, განსაკუთრებით კი ევროპაში, მწვრთნელები ზორბა, ჯანით სავსე მოთამაშეებს დაეძებდნენ, 172 სანტიმეტრიან და 62 კილოგრამიანი ნახევარმცველის არსებობა მხოლოდ სიცილს თუ გამოიწვევდა. არადა, ჟან ტიგანა ასეთი იყო და რა უნდა ექნა?*

# ფოსტალიონი აჩუქე საკუთარ თავს დაბადების დღე



ოთხი წლის იყო ტიგანა, როდესაც დედ-მამამ რვა და-ძმასთან ერთად მშობლიური მალიდან საფრანგეთში გამოასახლა. ოჯახი მარსელის გარეუბან გრანდ ბასტიდ კაზოლში დასახლდა და წელებზე ფეხის დგმა დაიწყო.

ჟანი ბურთს დასდევდა და ნიადაგ „ველოდრომზე" შეძრომას ცდილობდა — „მარსელის" თამაშებზე ბილეთი მაშინ ათი ფრანკი ღირდა, რაც მომავალი ფეხბურთელისთვის საშინლად დიდი თანხა იყო და ამიტომ ტრიბუნაზე მოსახვედრად ოინს მიმართავდა: როგორც კი ვინმე დიდი ძია კონტროლიორს მიუახლოვდებოდა, პატარა ტიგანა გვერდით ამოუდგებოდა, ხელს ჩასჭიდებდა და სანამ ძია გონს მოეგებოდა, ის უკვე ღობის შიგნით მირბოდა.

შემდეგ მოზრდილი ტიგანა ფოსტაში კურიერად მოეწყო — სკოლას, ვაგლახ, შემოსავალი არ მოჰქონდა. ფეხბურთი? იგი არც „კანში" მიიღეს, არც „ნიმში" და არც „ნიცაში", თამაშობდა ბიჭებთან, სადაც მოუხდებოდა. კურიერობა კი მაკარონის ფაბრიკამ შეცვალა, რასაც კასიში ისევ ფოსტის მუშაკად მოწყობის მცდელობა მოჰყვა, თუმცა უშედეგოდ: ყველა ვაკანსია დაკავებული იყო. რა ექნა? პლაჟზე გავიდა და ვილაცეებთან ბურთის გორებას მოჰყვა. თურმე ნუ იტყვით და, ბურთაობას „ტულონის" თავკაცი ივ კუდერი უყურებდა.

„ტულონი" მაშინ მეორე დივიზიონში გამოდიოდა და 20 წლის ტიგანას მის ძირითად შემადგენლობაში 1975-76 წლების სეზონში, სექტემბერშივე მიეცა თამაშის შანსი. ხომ იცით, როგორც ხდება — ერთი თანაგუნდელი დისკვალიფიციის გამო არ იყო და ტიგანას ენდნენ, ხოლო რომ ენდნენ, მერე აღარც კი შეუცვლიათ, ათამაშებდნენ და ათამაშებდნენ. თუმცა დასასრული ყველაფერს აქვს, კიდევ ორი წლის შემდეგ ჩვენი წერილის გმირს მწვრთნელთან, მარსელ დიუვალთან საშინელი კონფლიქტი მოუვიდა და თან ისეთი, კიდევ ორი ვწლის მერე, როდესაც ნაკრების თავკაცმა მიშელ იდალგომ ტიგანა გამოიძახა, დიუვალმა მწვრთნელს წერილი მისწერა, სადაც ცდილობდა დაესაბუთებინა, რომ ამ ახალგაზრდაზე ნაძირალა ქვეყნად არავინ დადის.

იდალგომ წერილი წაიკითხა, მაგრამ დიუვალს არ ენდო.

ხოლო კაცი, რომელიც ჟან ტიგანას ენდო, ჟაკე გახლდათ. სწორედ ის ემე ჟაკე, რომელმაც ამ ჩვენს წერილში მოთხრობილი ამბებიდან 20 წლის მერე საფრანგეთის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონი გახადა. ჟაკემ ტიგანა „ლიონში" მიიწვია, ერთადერთ ვარჯიშზე გასინჯა და მყისვე აიყვანა. საინტერესოა, რომ ჟანს ლიონშივე აღმოუჩინეს ტრავმა, რომელიც წლობით მოურჩენელი ჰქონია.

ჟაკე, როგორც მოგახსენეთ, ტიგანას ენდო, ოღონდ გამთამაშებლიდან კლასიკურ ნახევარმცველად გადააკეთა: უკან დახია, ბურთის წართმევა ასწავლა და დაშნასავით შეტევაშიც გაწაფა. როგორც გითხარით, ორ წელიწადში იგი ნაკრებშიც აიყვანეს, სადაც მსოფლიოს 1982 და 1986 წლების ჩემპიონატებსა და ევრო 84-ში მიიღო მონაწილეობა. სწორედ ის გახლდათ დიდი ფრანგული ნახევარდაცვის, ბრწყინვალე ტრიოს, მიშელ პლატინი — ალენ ჟირესი — ჟან ტიგანა, წევრი, თუმცა თავად მოკრძალებით ასე ამბობდა:

„მე პლატინისა და ჟირესივით ნიჭიერი არასდროს ვყოფილვარ, მაგრამ ნაკლს შრომითა და ყურადღების დაძაბვით ვინაზღაურებდი".

ერთი საინტერესო ისტორია პლატინის ავტობიოგრაფიული წიგნიდან: ესპანეთში, 1982 წლის მუნდიალის დღეებში, პლატინის დაბადების დღე 21 ივნისი, ნაკრებმა ტორტით აღნიშნა. დიდად როგორ იზეიმებდნენ, მსოფლიოს ჩემპიონატის გაწამაწიაში იყვნენ, მაგრამ ლიდერის მიმართ ნაკრების ხელმძღვანელობამ ყურადღება გამოიჩინა. ყველამ იხალისა. გავიდა ორი დღე და ფრანგები სასადილოში შეიკრიბნენ და რას ხედავენ: ზის ჟან ტიგანა ცალკე მაგიდასთან, პატარა ტორტში ერთი სანთელი ჩაურჭვია და უბერავს — როგორც ჩანს, ყველას გადაავიწყდა, რომ 23 ივნისს მათი გუნდის კიდევ ერთი მოთამაშის დღეობა იყო — ტიგანამ თავისთვის თავად შეუკვეთა ტორტი.

უნდა ითქვას, რომ ჟანი საერთოდაც უფრო გულჩათხრობილი, ცალკე მდგომი კაცი იყო. მაგალითად, ძმაკაცობით მერეც მაკარონის ფაბრიკის ბიჭებთან ძმაკაცობდა, ფეხბურთელებთან კი უფრო ნაკლებად.

და გახსოვთ ან წაგიკითხავთ, როგორ ვერ გავიდნენ ფრანგები 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში? დიახ, გფრ-სთან იმ ყოვლად დრამატულ მატჩს ვგულისხმობთ, რომელსაც ფრანგები 3:1-ს იგებდნენ, მაგრამ საბოლოოდ პენალტებში დამარცხდნენ. თქვენი ნებართვით იმ შეხვედრის სხვა დეტალებს აქ აღარ ჩავუღრმავდებით, მაგრამ იმას გეტყვით, რომ იმ მარცხმა ბევრი ფრანგი ვარსკვლავი დააკომპლექსა. 1984 წელს, ევროპის ჩემპიონატის წინ, როდესაც ნაკრების წევრები მუდმივ ნომრებს ირჩევდნენ, მხოლოდ პლატინიმ, ტიგანამ და ჟირესმა დაიტოვეს ორი წლის წინანდელი ნომრები, სხვებმა — თარსი რიცხვებისგან თავი შორს დაიჭირეს. ტიგანა მეთოთხმეტე იყო.

80-იანი წლების შუაში ჟან ტიგანამ დიდ „ბორდოსთან" ერთად ოთხ წელიწადში სამჯერ მოიგო საფრანგეთის ჩემპიონატის ტიტული — იქაც ბრწყინვალე ჟირესთან, ბერნარ ლაკომბთან და სხვებთან თამაშობდა — რის მერეც, 3 წლისა ბერნარ ტაპის დროინდელ „მარსელში" გადავიდა.



სანამ „მარსელს" ფრანც ბეკენბაუერი წვრთნიდა, ტიგანას საქმე ჩინებულად მიდიოდა, „კაიზერი" მოწინავეებით [illegible] თამაშებდა კიდეც, ხოლო როდესაც მის მაგივრად [illegible] რაიმონ გეტალსი მივიდა, ვეტერანმა უპიტივცემულობა იგრძნო და... ერთი სიტყვით, ჟან ტიგანამ კარიერა უგემურად დაასრულა.

90-იან წლებში კი ტიგანა მწვრთნელი გახდა. იგი ხელმძღვანელობდა ჯერ „ლიონს", მერე „მონაკოს", ხოლო 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ ნაკრების სათავეშიც კი უპირებდნენ მიყვანას, მაგრამ ნაკრებში როჟე ლემერი მივიდა, ხოლო ტიგანამ ლონდონს მიაშურა, „ფულემს" გაუძღვა.

მაშინ „ფულემი" პირველ დივიზიონში გამოდიოდა, შემდეგ სეზონში ტიგანას გუნდი უკვე პრემიერლიგის წევრი იყო, მაგრამ მგონი, ზემოთაც ვთქვით, რომ დასასრული ყველაფერს აქვს.

დღეს იგი, საფრანგეთშია ეგვიპტელები „ფარაონთა" გაწვრთნას სთავაზობს.

**პაპუნა ქედია**



1984 წლის ევროპის ჩემპიონატზე ჟან ტიგანამ მე-14 ნომერს არ უღალატა

# პორტუგალია კარგად იყი[illegible]

## ფრთხილად მიწაზე, ჰაერში და — ზღვაზე

*მადრიდში მომხდარმა ტერაქტმა ესპანეთის მეზობელი პორტუგალიაც გამოაფხიზლა, სადაც ივნისში ევროპის 2004 წლის ჩემპიონატი გაიმართება. ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრმა ანტონიუ ფირეირედუ ლოპიშამ განაცხადა, რომ საზღვარზე შემოწმება გამკაცრდება და თითოეულ შემსვლელს გულდასმით გაჩხრეკენ. „ეს აუცილებელია, რადგან დიდი სიფრთხილე გვმართებს როგორც მიწაზე, ისე ჰაერში და ზღვაზე“*




ტერაქტები ცალკე საფრთხეა, მაგრამ არსებობს სხვაც — ხულიგნები. ინგლისიდან ხულიგანთა ლიანგი სტუმრობაა მოსალოდნელი. მიუხედავად იმისა, რომ პორტუგალია შენგენის ხელშეკრულებას შეუერთდა და 15 ქვეყანას შორის სასაზღვრო შემოწმება გაუქმდა, გამონაკლისს დაუშვებენ და ინგლისელებისგან პასპორტებს მოითხოვენ.

ევრო 2004-ის საორგანიზაციო კომიტეტის განცხადებით, ბილეთები დატაცებაზეა. ჩემპიონატის დაწყებამდე 100 დღით ადრე მილიონ 200 ათასი ბილეთიდან 200 ათასიღა დარჩა.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ჟილბერტუ მადაილი გაოცებულია, რომ ტელეტრანსლაციის უფლების გაყიდვისგან მიღებული ფულის გარდა ევრო 2004-ის ბიუჯეტში უკვე 580 მილიონი ევრო შევიდა. „ეს უდიდესი ფინანსური წარმატებაა“ — თქვა პრეზიდენტმა.

400 ათასი ბილეთი რიგითმა გულშემატკივრებმა შეიძინეს, 130 ათასი ჩემპიონატის ორგანიზატორთა პარტნიორებმა, 350 — სხვადასხვა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციებმა, ხოლო 108 ათასი ცალი ფინალური ტურნირის მონაწილეებს ადრევე დაუჯავშნეს.

ჟილბერტუ მადაილმა ქომაგები არაერთხელ გააფრთხილა, რომ ბილეთები არაოფიციალურ ინტერნეტ-გვერდებზე არ შეიძინონ: „ისინი ხელმისაწვდომია მხოლოდ ევრო 2004-ის ოფიციალურ ვებგვერდზე ან მონაწილე 16 ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციაში“.

დღეისთვის გასაყიდი მხოლოდ 11 მატჩის ბილეთებია დარჩენილი. დაზღვევის მიზნით და ფალსიფიცირების თავიდან ასაცილებლად მყიდველებს ბილეთებს ჩემპიონატის დაწყებამდე ორი კვირით ადრე გაუგზავნიან.

უკვე რამდენიმე პორტუგალიური კომპანია თაღლითებმა გააცურეს. მათ შორის ეროვნული ბანკი და საფეიქრო ქარხანა აღმოჩნდნენ. ერთ-ერთ საინტერნეტო გვერდზე ბილეთები შეუკვეთეს და ფული გადაიხადეს, მაგრამ ამაოდ ელოდებიან.

ბილეთების შეძენის მსურველებმა საბუთების მთელი დასტა უნდა წარმოადგინონ. გვარ-სახელი, მისამართი, ტელეფონის და პასპორტის ნომერი. პოლიციას ტრიბუნაზე მყოფი ნებისმიერი გულშემატკივარი რეგისტრირებული ეყოლება. ანონიმურად ვერავინ შეაღწევს, რადგან ბილეთები სახელობითი იქნება. სტადიონზე შესვლისას პირადობის დამადასტურებელი მოწმობის წარდგენაც აუცილებელია.

გასულ კვირას უეფამ განაცხადა, რომ ჩემპიონატის მსვლელობისას დოპინგ-შემოწმებაზე პასუხისმგებელი პორტუგალიის სპორტის ინსტიტუტი იქნება. უკვე გამოქვეყნდა მოქმედების სათანადო პროგრამა.

არის სიახლე: ევროჩემპიონატების ისტორიაში პირველად ფეხბურთელები დოპინგზე შესაძლოა, ტურნირის დაწყებამდე შეამოწმონ და ამის შესახებ უეფას ჩინოვნიკმა იაკობ ერელმა განაცხადა. ეს ამხანაგური მატჩების დროს და საწვრთნელ შეკრებაზე მოხდება. რაც შეეხება მატჩის შემდგომ ანალიზებს, თითოეული გუნდიდან ლაბორატორიაში ორ-ორ მოთამაშეს გაიხმობენ.

**ვაჟა ხუციშვილი**



სტილიან პეტროვი ფედერაციას აუჯანყდა

# ბულგარეთმა რუსეთი მძევლად აიყვანა

## პეტროვმა პირველი კლასი მოითხოვა

*ბულგარეთი ევრო 2004-ის მონაწილეა. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაცია მოთამაშეებს თავს უნდა ევლებოდეს, მაგრამ ნაკრების ბანაკში თურმე არეულობაა*

იქაური „ტოპ სპორტის“ ცნობით, ფეხბურთელებმა ფედერაციისგან სანაკრებო მატჩებში მონაწილეობისთვის ჰონორარის გაზრდა მოითხოვეს, 800-დან 1500 ევრომდე. გარდა ამისა, მოთამაშენი ფორმითაც უკმაყოფილონი არიან და ახალი სამოსი სჭირდებათ.

ნაკრების კაპიტანმა, „სელტიკის“ ფორვარდმა სტილიან პეტროვმა ჩინოვნიკები უსაქმურობაში და გულგრილობაში დაადანაშაულა: „ძალიან ხშირად ძველ ფორმას გვაძლევენ, ზოგჯერ კი ზურგზე ნომრები და გვარებიც კი აღარ ემჩნევა.“

პეტროვმა დაიწუწუნა, რომ გუნდი თამაშებზე მეორე კლასით დაფრინავს რიგით მგზავრებთან და გულშემატკივრებთან ერთად. „შორ მანძილზე მგზავრობისას დასვენება და სიწყნარე გვჭირდება, რაც მხოლოდ პირველი კლასითაა შესაძლებელი. არ მგონია, რომ ფედერაცია ჩვენმა მოთხოვნებმა გააკოტროს“.

ეროვნული გუნდის ფეხბურთელების პრეტენზიები ამით არ მთავრდება. მათი აზრით, პორტუგალიის საგზურის მოპოვებისთვის მიღებული პრემიალური თანხა არასწორად განაწილდა და ჩინოვნიკებმა ფულის ნაწილი სადღაც მიმალეს.

ამ ფაქტების ერთობლიობამ შესაძლოა, ნაკრებში მცირე ჯანყიც გამოიწვიოს. 31 მარტს ბულგარეთს რუსეთთან ამხანაგური შეხვედრა აქვს დაგეგმილი და თუ კუთვნილ თანხას დროზე არ მიიღებენ, პეტროვი და მისი თანაგუნდელები ამ მატჩის ბოიკოტით იმუქრებიან.

**ვაჟა ხუციშვილი**

# საჭირო კაცი საჭირო ოთახში

**ტელევიზორში** ან სტადიონზე ყოფნისას ხშირად გვინახავს ასეთი სურათი: სათადარიგოთა სკამიდან წამოდგება ფეხბურთელი, რომელსაც მოედანზე შესვლის შანსი უკვე აღარა აქვს, რადგან მწვრთნელმა სამი შეცვლა გამოიყენა და გასახდელში მიდის.

ამ შემთხვევაში ზოგჯერ ამბობენ, რომ მოთამაშე გაბრაზდა და განაწყენებული გაიძურწა, მაგრამ ეს ვერსია ყოველთვის მართალი არ არის.

ორიოდ კვირის წინ ბელგიაში ლიდერები, „ანდერლეხტი“ და „ბრიუგე“ დაეჯახნენ ერთმანეთს. შეხვედრას „ბრიუგე“ იგებდა და „ანდერლეხტის“ მწვრთნელმა ჰუგო ბროოსმა შეტევის გასაძლიერებლად მესამე ცვლილება გამოიყენა — მიხაილ ჟევლიაკოვის ნაცვლად ლამინ ტრაორე შეუშვა. ტრაორეს წამოდგომა და მის გვერდით მჯდომი 33 წლის პარ ზეტერბერგის წამოხტომა ერთი იყო. ზეტერბერგი გასახდელისკენ გაიქცა.

ამის მნახველმა ჟურნალისტებმა იფიქრეს, შვედი მწვრთნელზე გაბრაზდაო და გაზეთებშიც ასე დაწერეს.

33 წლის ვეტერანმა ერთ-ერთი გაზეთი გადაფურცლა, წაიკითხა, გაეცინა და თქვა: „რა სისულელეა, არავისზე არ გავბრაზებულვარ, მე მხოლოდ ტუალეტში მინდოდა და გავიქეცი. ბროოსს იმ საღამოსვე ავუხსენი, რომ მასზე ნაწყენი არ ვარ. რა მექნა, ტუალეტში არ წავსულიყავი და ჩამეფსა? გავითვალისწინებ, შემდგომი მატჩისთვის ღამის ქოთანს წამოვიღებ და სკამზევე მოვფსამ, ისე რომ, თამაშს არ მოვწყდე“.

**ვაჟა ხუციშვილი**



პარ ზეტერბერგს ისე გაუჭირდა სათადარიგოთა სკამიდან ტუალეტისკენ მოკურცხლა

სარბიელი და კროკო
წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ინგლისი. პრემიერლიგა. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 24.00 | 001 | ლივერპული-პორტსმუთი | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | | **ინგლისი. I დივიზიონი. XXXVII ტური** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 041 | კარდიფი-რედინგი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 23.45 | 042 | ნორვიჩი-ჯილინგემი | 1,45 | 3,8 | 7,0 | 1,04 | 1,2 | 2,46 |
| 23.45 | 043 | როტერჰემი-შეფილდი | 2,8 | 3,2 | 2,35 | 1,49 | 1,27 | 1,35 |
| 23.45 | 044 | უოლსოლი-იფსვიჩი | 2,5 | 3,2 | 2,5 | 1,4 | 1,25 | 1,4 |
| 23.45 | 045 | უოტფორდი-დერბი | 2,2 | 3,2 | 3,1 | 1,3 | 1,28 | 1,57 |
| 23.45 | 046 | ვესტ ბრომვიჩი-უიგანი | 1,85 | 3,2 | 4,0 | 1,17 | 1,26 | 1,77 |
| 24.00 | 047 | სანდერლენდი-სტოკი | 1,75 | 3,3 | 4,4 | 1,14 | 1,25 | 1,88 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 048 | ქოვენთრი-პრესტონი | 2,0 | 3,2 | 3,5 | 1,23 | 1,27 | 1,67 |
| 23.45 | 049 | ნოტინგემი-ბარნლი | 1,8 | 3,3 | 4,0 | 1,16 | 1,24 | 1,8 |
| 23.45 | 050 | ვესტ ჰემი-ქრიუ | 1,4 | 4,0 | 7,5 | 1,03 | 1,17 | 2,6 |
| | | **ინგლისი. II დივიზიონი. XXXVII ტური** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 069 | ბლეკპული-ბრენტფორდი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 23.45 | 070 | ჩესტერფილდი-ბრაიტონი | 2,45 | 3,2 | 2,5 | 1,38 | 1,23 | 1,4 |
| 23.45 | 071 | კოლჩესტერი-უიკომბი | 1,5 | 3,4 | 4,6 | 1,04 | 1,13 | 1,95 |
| 23.45 | 072 | ჰარტლპული-სტოკპორტი | 1,7 | 3,3 | 4,6 | 1,12 | 1,24 | 1,92 |
| 23.45 | 073 | ოლდემი-ბარნსლი | 2,1 | 3,2 | 3,2 | 1,26 | 1,26 | 1,6 |
| 23.45 | 074 | პლიმუთი-პიტერბრო | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 23.45 | 075 | პორტ ვეილი-ლუტონი | 2,15 | 3,2 | 3,1 | 1,28 | 1,26 | 1,57 |
| 23.45 | 076 | ქუინზ პარკი-რექსემი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 23.45 | 077 | რაშდენი-ნოტსი | 1,85 | 3,4 | 3,5 | 1,19 | 1,21 | 1,72 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 078 | უენსდი-ბორნმუთი | 2,05 | 3,2 | 3,3 | 1,24 | 1,26 | 1,62 |
| 23.45 | 079 | სუინდონი-გრიმსბი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| | | **ინგლისი. III დივიზიონი. XXXVII ტური** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 098 | სკანთორპი-კიდერმინსტერი | 1,8 | 3,3 | 3,8 | 1,16 | 1,22 | 1,76 |
| 23.45 | 099 | როვერსი-ტორკი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 23.45 | 100 | ბერი-მენსფილდი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 23.45 | 101 | კემბრიჯი-ბოსტონი | 2,0 | 3,2 | 3,4 | 1,23 | 1,25 | 1,64 |
| 23.45 | 102 | კარლაილი-ნორთჰემპტონი | 2,3 | 3,2 | 2,45 | 1,33 | 1,18 | 1,38 |
| 23.45 | 103 | ჰადერსფილდი-როჩდეილი | 1,4 | 3,8 | 7,5 | 1,02 | 1,17 | 2,52 |
| 23.45 | 104 | ჰალი-ლეიტონი | 1,5 | 3,6 | 6,0 | 1,05 | 1,2 | 2,25 |
| 23.45 | 105 | ლინკოლნი-საუთენდი | 1,65 | 3,4 | 4,8 | 1,11 | 1,22 | 1,99 |
| 23.45 | 106 | მაკლსფილდი-სუონსი | 2,5 | 3,2 | 2,4 | 1,4 | 1,22 | 1,37 |
| 23.45 | 107 | იოვილი-დონკასტერი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 108 | ოქსფორდი-ჩელტენემი | 1,65 | 3,3 | 4,2 | 1,1 | 1,18 | 1,84 |
| | | **ინგლისი. კონფერენსი. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 126 | ბარტონი-ალდერშოტი | 2,6 | 3,3 | 2,3 | 1,45 | 1,22 | 1,35 |
| 23.45 | 127 | მარგეიტი-აკრინგტონი | 2,4 | 3,2 | 2,5 | 1,37 | 1,22 | 1,4 |
| 23.45 | 128 | ნორთვიჩი-ექსეტერი | 3,6 | 3,4 | 1,6 | 1,74 | 1,1 | 1,08 |
| 23.45 | 129 | სკარბორო-ტემუორთი | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| | | **შოტლანდია. პრემიერლიგა. XXVII ტური** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 145 | დანდი-სელტიკი | 10,0 | 5,0 | 1,25 | 3,33 | 1,11 | 1 |
| | | **შოტლანდია. I დივიზიონი. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 154 | ინვერნესი-კლაიდი | 2,35 | 3,4 | 2,5 | 1,38 | 1,21 | 1,44 |
| 23.30 | 155 | სტ.მირენი-სტ.ჯონსტონი | 3,2 | 3,5 | 1,95 | 1,67 | 1,21 | 1,25 |
| | | **შოტლანდია. II დივიზიონი. გადადებული მატჩები.** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 163 | ბერიკი-ერდრი | 2,5 | 3,4 | 2,3 | 1,44 | 1,19 | 1,37 |
| 23.30 | 164 | ისტ ფაიფი-დამბარტონი | 2,35 | 3,4 | 2,45 | 1,38 | 1,19 | 1,42 |
| 23.30 | 165 | ფორფარი-არბროთი | 1,65 | 3,6 | 4,2 | 1,13 | 1,18 | 1,93 |
| 23.45 | 166 | ჰამილტონი-ალოა | 1,8 | 3,6 | 3,3 | 1,19 | 1,16 | 1,72 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **შოტლანდია. III დივიზიონი. XXI ტური** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 175 | ალბიონი-პიტერჰედი | 2,7 | 3,5 | 2,15 | 1,52 | 1,19 | 1,33 |
| 23.30 | 176 | ელგინი-კოუდენბითი | 3,3 | 3,6 | 1,8 | 1,72 | 1,16 | 1,19 |
| | | **გერმანია. ბუნდესლიგა. XXV ტური** | | | | | | |
| | | **20 მარტი** | | | | | | |
| 18.30 | 012 | მიონხენგლადბახი-ჰამბურგი | 2,25 | 3,2 | 3,0 | 1,32 | 1,28 | 1,54 |
| 18.30 | 013 | კიოლნი-შტუტგარტი | 3,5 | 3,3 | 1,85 | 1,69 | 1,21 | 1,18 |
| 18.30 | 014 | დორტმუნდი-აინტრახტი | 1,5 | 3,8 | 6,0 | 1,07 | 1,2 | 2,32 |
| 18.30 | 015 | შალკე-ჰანოვერი | 1,55 | 3,6 | 5,6 | 1,08 | 1,21 | 2,19 |
| 18.30 | 016 | ჰანზა-ლევერკუზენი | 2,35 | 3,2 | 2,8 | 1,35 | 1,27 | 1,49 |
| 18.30 | 017 | ჰერტა-ბაიერნი | 3,6 | 3,3 | 1,9 | 1,72 | 1,24 | 1,2 |
| 18.30 | 018 | კაიზერსლაუტერნი-ბოხუმი | 2,3 | 3,2 | 2,9 | 1,33 | 1,28 | 1,52 |
| | | **21 მარტი** | | | | | | |
| 20.30 | 019 | მიუნხენი-ფრაიბურგი | 1,9 | 3,3 | 3,6 | 1,2 | 1,24 | 1,72 |
| 20.30 | 020 | ვოლფსბურგი-ვერდერი | 2,8 | 3,3 | 2,3 | 1,51 | 1,26 | 1,35 |
| | | **გერმანია. II ბუნდესლიგა. XXII ტური** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 21.00 | 185 | ალენი-ბურგჰაუზენი | 2,35 | 3,2 | 2,7 | 1,35 | 1,25 | 1,46 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XX ტური** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 21.30 | 210 | აალენი-ფოიხტი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 22.00 | 211 | ვეენი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,35 | 3,8 | 6,0 | 1 | 1,1 | 2,32 |
| | | **გერმანია. რეგიონალლიგა (სამხრეთი). XXII ტური** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 21.30 | 213 | ფულენდორფი-ჰოფენჰაიმი | 1,95 | 3,3 | 3,3 | 1,22 | 1,22 | 1,65 |
| | | **იტალია. სერია A. XXVI ტური** | | | | | | |
| | | **20 მარტი** | | | | | | |
| 21.00 | 021 | უდინეზე-იუვენტუსი | 3,2 | 2,9 | 2,3 | 1,52 | 1,33 | 1,28 |
| 23.30 | 022 | მილანი-პარმა | 1,45 | 3,6 | 7,5 | 1,03 | 1,21 | 2,43 |
| | | **21 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 023 | ანკონა-ინტერი | 5,3 | 3,5 | 1,5 | 2,1 | 1,16 | 1,04 |
| 18.00 | 024 | ბოლონია-ბრეშა | 2,05 | 2,9 | 3,8 | 1,2 | 1,33 | 1,64 |
| 18.00 | 025 | კიევო-სიენა | 1,8 | 3,0 | 4,6 | 1,12 | 1,29 | 1,81 |
| 18.00 | 026 | ემპოლი-სამპდორია | 2,45 | 2,8 | 3,0 | 1,3 | 1,34 | 1,44 |
| 18.00 | 027 | ლეჩე-პერუჯა | 1,95 | 3,0 | 4,0 | 1,18 | 1,31 | 1,71 |
| 18.00 | 028 | მოდენა-რეჯინა | 2,0 | 2,9 | 4,0 | 1,18 | 1,33 | 1,68 |
| 23.30 | 029 | ლაციო-რომა | 2,8 | 2,8 | 2,5 | 1,4 | 1,32 | 1,32 |
| | | **იტალია. სერია B. XXXIII ტური** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 227 | ასკოლი-აველინო | 1,9 | 2,7 | 4,4 | 1,11 | 1,32 | 1,67 |
| 23.30 | 228 | ატალანტა-ტორინო | 1,95 | 2,5 | 4,8 | 1,09 | 1,38 | 1,64 |
| 23.30 | 229 | კატანია-ალბინოლეფე | 1,65 | 2,8 | 7,0 | 1,03 | 1,33 | 2 |
| 23.30 | 230 | ლივორნო-კალიარი | 2,25 | 2,5 | 3,6 | 1,18 | 1,38 | 1,47 |
| 23.30 | 231 | პალერმო-ვენეცია | 1,45 | 3,4 | 8,0 | 1,01 | 1,22 | 2,38 |
| 23.30 | 232 | პესკარა-ჯენოა | 2,25 | 2,5 | 3,6 | 1,18 | 1,38 | 1,47 |
| 23.30 | 233 | სალერნიტანა-მესინა | 2,5 | 2,5 | 3,1 | 1,25 | 1,38 | 1,38 |
| 23.30 | 234 | ტერნანა-კომო | 1,65 | 2,8 | 7,0 | 1,03 | 1,33 | 2 |
| 23.30 | 235 | ტრევიზო-პიაჩენცა | 2,7 | 2,5 | 2,9 | 1,29 | 1,39 | 1,34 |
| 23.30 | 236 | ტრიესტინა-ბარი | 1,85 | 2,6 | 5,0 | 1,08 | 1,35 | 1,71 |
| 23.30 | 237 | ვერონა-ფიორენტინა | 2,15 | 2,5 | 4,0 | 1,15 | 1,39 | 1,53 |
| 23.30 | 238 | ვიჩენცა-ნაპოლი | 2,0 | 2,5 | 4,6 | 1,11 | 1,39 | 1,61 |
| | | **ავსტრია. ბუნდესლიგა. XXV ტური** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 21.00 | 405 | ადმირა-რაპიდი | 2,7 | 3,2 | 2,35 | 1,46 | 1,25 | 1,35 |
| 22.30 | 406 | აუსტრია-მატერსბურგი | 1,3 | 4,4 | 9,0 | 1 | 1,13 | 2,95 |
| 22.30 | 407 | პაშინგი-გრაცერი | 2,5 | 3,2 | 2,45 | 1,4 | 1,23 | 1,38 |
| 22.30 | 408 | ზალცბურგი-ბრეგენცი | 1,75 | 3,3 | 4,2 | 1,14 | 1,23 | 1,84 |
| 22.30 | 409 | შტურმი-კერნტენი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| | | **ავსტრია. I დივიზიონი. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 419 | ლუსტენაუ-ბლაიბერგი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 22.00 | 420 | უნტერსიბენბრიუნი-აუსტრია(ლ) | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 421 | კაფენბერგი-ლინცერი | 1,7 | 3,4 | 4,2 | 1,13 | 1,21 | 1,87 |
| 22.00 | 422 | რიდი-ლეობენი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| 22.00 | 423 | ტიროლი-ვიორგლი | 1,5 | 3,6 | 5,6 | 1,05 | 1,18 | 2,19 |
| | | **შვეიცარია. სუპერლიგა. XXIV ტური** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 433 | აარაუ-გრასჰოპერი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| 22.30 | 434 | სერვეტი-ქსამაქსი | 1,3 | 4,2 | 8,0 | 1 | 1,11 | 2,75 |
| 22.30 | 435 | თუნი-სტ.გალენი | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,19 | 1,23 | 1,67 |
| 22.30 | 436 | ვილი-იანგ ბოიზი | 3,2 | 3,3 | 2,05 | 1,62 | 1,24 | 1,26 |
| 22.30 | 437 | ციურიხი-ბაზელი | 3,8 | 3,3 | 1,8 | 1,76 | 1,22 | 1,16 |
| | | **შვეიცარია. ჩელენჯლიგა. გადადებული მატჩები** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 447 | კრინსი-კონკორდია | 1,8 | 3,3 | 3,6 | 1,16 | 1,19 | 1,72 |
| 22.30 | 448 | ბული-სიონი | 2,8 | 3,2 | 2,25 | 1,49 | 1,24 | 1,32 |
| 22.30 | 449 | შო დე ფონი-ვინტერთური | 2,3 | 3,2 | 2,7 | 1,33 | 1,24 | 1,46 |
| | | **სლოვაკეთი. I ლიგა. XIX ტური** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 541 | ინტერი-ტრენჩინი | 1,7 | 3,3 | 4,4 | 1,12 | 1,22 | 1,88 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 18.00 | 542 | პეტრჟალკა-პუხოვი | 1,55 | 3,5 | 5,3 | 1,07 | 1,19 | 2,1 |
| 18.00 | 543 | ბ.ბისტრიცა-ჟილინა | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| 18.00 | 544 | დუბნიცა-სლოვანი | 2,0 | 3,2 | 3,3 | 1,23 | 1,24 | 1,62 |
| 19.00 | 545 | ტრნავა-რუჟომბეროკი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,17 | 1,22 | 1,69 |
| | | **უნგრეთი. NB1. XVIII ტური** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 21.00 | 603 | ჰალადაში-უიპეშტი | 2,35 | 3,0 | 2,8 | 1,31 | 1,27 | 1,44 |
| | | **ინგლისი. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 678 | ტრანმერი-მილუოლი | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| | | **შოტლანდია. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **18 მარტი** | | | | | | |
| 23.45 | 679 | ლივინგსტონი-აბერდინი | 2,2 | 3,2 | 3,0 | 1,3 | 1,26 | 1,54 |
| | | **გერმანია. თასი. 1/2 ფინალი** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 680 | ვერდერი-ლიუბეკი | 1,22 | 5,0 | 10,0 | 1 | 1,08 | 3,33 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 681 | ალემანია-მიონხენგლადბახი | 2,5 | 3,1 | 2,5 | 1,38 | 1,25 | 1,38 |
| | | **იტალია. თასი. ფინალი. I მატჩი** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 24.00 | 682 | ლაციო-იუვენტუსი | 2,2 | 3,0 | 3,2 | 1,26 | 1,3 | 1,54 |
| | | **ესპანეთი. თასი. ფინალი** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 24.00 | 683 | რეალი-სარაგოსა | 1,5 | 3,5 | 6,5 | 1,04 | 1,21 | 2,27 |
| | | **საფრანგეთი. თასი. 1/4 ფინალი** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 21.00 | 684 | ამიენი-დიჟონი | 1,6 | 3,3 | 5,3 | 1,07 | 1,22 | 2,03 |
| 24.00 | 685 | ბრივი-პსჟ | 8,0 | 4,2 | 1,3 | 2,75 | 1,11 | 1 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 686 | ნანტი-რენი | 1,7 | 3,2 | 4,8 | 1,11 | 1,25 | 1,92 |
| 24.00 | 687 | მონაკო-შატორუ | 1,25 | 4,6 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,04 |
| | | **პორტუგალია. თასი. 1/2 ფინალი** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 01.15 | 688 | ბრაგა-პორტუ | 4,2 | 3,3 | 1,75 | 1,84 | 1,23 | 1,14 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 01.15 | 689 | ბენფიკა-ბელენენსეში | 1,35 | 4,0 | 8,0 | 1 | 1,15 | 2,66 |
| | | **ჰოლანდია. თასი. 1/2 ფინალი** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 690 | ტვენტე-ბრედა | 1,85 | 3,3 | 3,6 | 1,18 | 1,22 | 1,72 |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 691 | სპარტა-უტრეხტი | 2,7 | 3,3 | 2,25 | 1,48 | 1,22 | 1,33 |
| | | **ბელგია. თასი. 1/2 ფინალი. I მატჩები** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 23.30 | 692 | ანდერლეხტი-ბევერენი | 1,25 | 4,8 | 9,0 | 1 | 1,09 | 3,13 |
| 23.30 | 693 | მუსკრონი-ბრიუგე | 2,8 | 3,2 | 2,3 | 1,49 | 1,26 | 1,33 |
| | | **საბერძნეთი. თასი. 1/4 ფინალი. II მატჩები** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 694 | ირაკლისი-აეკ | 3,0 | 3,1 | 2,2 | 1,52 | 1,26 | 1,28 |
| | | **თურქეთი. თასი. 1/2 ფინალი** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 16.00 | 695 | ისთანბული-ტრაბზონი | 3,5 | 3,3 | 1,85 | 1,69 | 1,21 | 1,18 |
| 22.00 | 696 | ფენერბაჰჩე-გენჩლერბირლიგი | 1,45 | 3,6 | 6,0 | 1,03 | 1,16 | 2,25 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **ექვსი ერის თასი** | | | | | | |
| | | **20 მარტი** | | | | | | |
| 17.30 | 901 | ირლანდია-იტალია | 1,01 | 25,0 | 11,0 | 1 | 1 | 7,63 |
| 20.00 | 903 | ინგლისი-უელსი | 1,05 | 20,0 | 7,5 | 1 | 1 | 5,45 |
| | | **21 მარტი** | | | | | | |
| 19.00 | 905 | შოტლანდია-საფრანგეთი | 7,5 | 20,0 | 1,05 | 5,45 | 1 | 1 |
| | | **ჰოკეი. რუსეთი** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 15.30 | 1001 | ნოვოკუზნეცკი-აკ ბარსი | 2,3 | 4,2 | 2,2 | 1,48 | 1,12 | 1,44 |
| 16.30 | 1002 | ავანგარდი-დინამო | 1,45 | 5,0 | 4,2 | 1,12 | 1,07 | 2,28 |
| 17.30 | 1003 | მაგნიტოგორსკი-ნეფტეხიმიკი | 1,25 | 6,0 | 6,0 | 1,03 | 1,03 | 3 |
| 18.30 | 1004 | ლადა-ლოკომოტივი | 1,95 | 4,2 | 2,6 | 1,33 | 1,11 | 1,6 |
| | | **ჰოკეი. ჩეხეთი** | | | | | | |
| | | **17 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 1021 | სპარტა-სლავია | 1,95 | 4,0 | 2,7 | 1,31 | 1,13 | 1,61 |
| 20.00 | 1022 | ზლინი-პლზენი | 1,65 | 4,2 | 3,5 | 1,18 | 1,12 | 1,9 |
| | | **ჰოკეი. სლოვაკეთი** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 20.00 | 1041 | ზვოლენი-სლოვანი | 1,95 | 4,0 | 2,6 | 1,31 | 1,11 | 1,57 |
| | | **ჰოკეი. გერმანია** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 1051 | დიუსელდორფი-აისბარენი | 2,4 | 4,2 | 2,1 | 1,52 | 1,12 | 1,4 |
| 22.30 | 1052 | მანჰაიმი-ჰამბურგი | 1,85 | 4,2 | 2,8 | 1,28 | 1,11 | 1,68 |
| 22.30 | 1053 | ფრანკფურტი-კიოლნი | 1,95 | 4,2 | 2,6 | 1,33 | 1,11 | 1,6 |
| 22.30 | 1054 | ინგოლშტადი-ნიურნბერგი | 2,05 | 4,2 | 2,45 | 1,37 | 1,11 | 1,54 |
| | | **ჰოკეი. შვეიცარია** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 22.30 | 1071 | ლუგანო-ციურიხი | 1,55 | 4,6 | 3,8 | 1,15 | 1,1 | 2,08 |
| 22.30 | 1072 | ბერნი-სერვეტი | 1,45 | 4,8 | 4,4 | 1,11 | 1,09 | 2,29 |
| | | **ჰოკეი. შვედეთი** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 22.00 | 1081 | ფრიოლუნდა-ჰვ 71 | 1,7 | 4,4 | 3,2 | 1,22 | 1,11 | 1,85 |
| 22.00 | 1082 | ტიმრე-ფერიესტადი | 2,3 | 4,2 | 2,2 | 1,48 | 1,12 | 1,44 |
| | | **ჰოკეი. NHL** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 04.00 | 1111 | ტამპა ბეი-აილენდერსი | 1,7 | 3,8 | 3,3 | 1,17 | 1,12 | 1,76 |
| 04.30 | 1112 | ტორონტო-ბოსტონი | 2,15 | 3,5 | 2,6 | 1,33 | 1,17 | 1,49 |
| 04.30 | 1113 | დეტროიტი-კალგარი | 1,65 | 3,8 | 3,6 | 1,15 | 1,13 | 1,84 |
| 04.30 | 1114 | მონრეალი-კოლორადო | 2,35 | 3,6 | 2,3 | 1,42 | 1,16 | 1,4 |
| 04.30 | 1115 | პიტსბურგი-ვაშინგტონი | 1,9 | 3,5 | 2,5 | 1,23 | 1,07 | 1,45 |
| 05.00 | 1116 | მინესოტა-ოტავა | 2,5 | 3,5 | 2,2 | 1,45 | 1,17 | 1,35 |
| 05.30 | 1117 | დალასი-სან ხოსე | 1,9 | 3,6 | 3,0 | 1,24 | 1,16 | 1,63 |
| 06.00 | 1118 | ფინიქსი-ანაჰაიმი | 2,3 | 3,5 | 2,35 | 1,38 | 1,16 | 1,4 |
| 06.00 | 1119 | ედმონტონი-კოლამბუსი | 1,5 | 3,8 | 4,0 | 1,07 | 1,09 | 1,94 |
| 07.00 | 1120 | ვანკუვერი-ნეშვილი | 1,75 | 3,8 | 3,3 | 1,19 | 1,14 | 1,76 |
| 07.30 | 1121 | ლოს ანჯელესი-სტ.ლუისი | 2,05 | 3,6 | 2,7 | 1,3 | 1,16 | 1,54 |
| | | **კალათბურთი. NBA** | | | | | | |
| | | **16 მარტი** | | | | | | |
| 04.00 | 1281 | კლივლენდი-ჩიკაგო | 1,1 | 10,0 | 4,4 | 1 | 1 | 3,05 |
| 04.30 | 1282 | ატლანტა-სიეტლი | 2,0 | 10,0 | 1,5 | 1,66 | 1 | 1,3 |
| 04.30 | 1283 | მაიამი-ნიუ ორლეანი | 1,5 | 10,0 | 2,0 | 1,3 | 1 | 1,66 |
| 04.30 | 1284 | ნიუ ჯერსი-საკრამენტო | 1,8 | 10,0 | 1,8 | 1,52 | 1 | 1,52 |
| 04.30 | 1285 | ნიუ იორკი-ვაშინგტონი | 1,1 | 10,0 | 4,4 | 1 | 1 | 3,05 |
| 05.00 | 1286 | მილუოკი-პორტლენდი | 1,5 | 10,0 | 2,0 | 1,3 | 1 | 1,66 |
| 05.00 | 1287 | მემფისი-ფილადელფია | 1,22 | 10,0 | 3,1 | 1,08 | 1 | 2,36 |
| 06.00 | 1288 | ფინიქსი-კლიპერსი | 1,45 | 10,0 | 2,2 | 1,26 | 1 | 1,8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ტურში გატანილი გოლების რაოდენობა

| | | | |
|---|---|---|---|
| 20.03 19.00 | 6001 | ინგლისი პლ (XXIX) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 20.03 18.30 | 6002 | გერმანია ბლ (XXV) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 20.03 21.00 | 6003 | იტალია A (XXVI) | 23 და ნაკლები – 1,9; 25 და მეტი – 1,9 |
| 20.03 22.30 | 6004 | ესპანეთი Iდ (XXIX) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 19.03 23.00 | 6005 | საფრანგეთი Iდ (XXIX) | 21 და ნაკლები – 1,9; 23 და მეტი – 1,9 |
| 19.03 01.30 | 6006 | პორტუგალია სლ (XXVII) | 22 და ნაკლები – 1,9; 24 და მეტი – 1,9 |
| 19.03 22.30 | 6007 | ჰოლანდია Iდ (XXVI) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |
| 20.03 23.00 | 6008 | ბელგია Iდ (XXVII) | 25 და ნაკლები – 1,9; 27 და მეტი – 1,9 |

| 1-ლი ტაიმი/ძირითადი დრო | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 5101 ლივერპული-პორტსმუთი | 1,8 | 12,0 | 25,0 | 3,4 | 5,0 | 12,0 | 20,0 | 12,0 | 12,0 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დასრულების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

5401 ლივერპული-პორტსმუთი ---------- 1,3 ---------- 3,4

## რამდენი გოლი გავა მატჩში. (ძირითადი დრო) (2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

5201 ლივერპული-პორტსმუთი ---------- 1,85 ---------- 1,75

## გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს (ძირითადი დრო)

---------- კი ---------- არა

5301 ლივერპული-პორტსმუთი ---------- 1,75 ---------- 1,85

## I ტაიმის შედეგი

5001 ლივერპული-პორტსმუთი 1.7 2.5 6.5 1.01 1.34 1,8

## რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|
| 5501 ლივერპული-პორტსმუთი | 3,0 | 2,8 | 2,0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დიდი გაფაჩუნება

## ბოისამ კვირა გამოკვერა

*ბებერ კონტინენტზე კვირა არ ჩაივლის, სადაც ქართველმა არ იყოჩაღოს. საკალათბურთო რუკის კუთხეში სვაზილენდივით მიყუჟულ ციცქნა საქართველოს ბევრი ლეგიონერი არ მოეძებება, მაგრამ ვინცა ჰყავს, თავს არ ირცხვენენ და ყოველ კვირა ხან საფრანგეთიდან მოდის მათი ამბები, ხან სლოვენიიდან და ხან სულაც მეზობელ რუსეთიდან. ამჯერად ისევ ბალკანეთზე მოხდა ჩვენთვის საინტერესო ამბავი, ვლადიმერ ბოისას ძალისხმევით „ოლიმპიამ" ევროლიგაშიც იმარჯვა და ადრიატიკის ლიგაშიც*

ბოისა უკვე აღარ არის უბრალო მოთამაშე, ასაკის კვალად სიდინჯე და ოსტატობაც მოემატა და ხელიც აებასრა, ყველაფერი კი ერთ სიტყვაში — „კლასში" ერთიანდება. ვოვა დღეს ისეთი სტაბილურია, როგორც არასდროს. ევროკალათბურთის გაუტანელ ჰუნგლებში თავს კომფორტულად გრძნობს. სულ ახლახან სლოვენიურ კარიერაში საუკეთესო მატჩი გამოცხო „ციბონასთან" და „ოლიმპიას" მინავლებულ ამბიციას სული შეუბერა. ლიუბლანელებმა გასულ ხუთშაბათს ბებერი კონტინენტის ახალგაზრდა გრანდი „ეფესი" დაამარცხეს. ჩვენებურმა მოზრდილი წილი დაიდო თურქების ძლევაში, გუშინწინ კი კიდევ უკეთ ითამაშა ადრიატიკის ლიგაში — „ოლიმპიამ" დრამატულ ბრძოლაში დაამარცხა ბოსნიური „შიროკი".

17 ქულით ბოისა თავისიანთა შორის საუკეთესო იყო, „ოლიმპიაც" მისი დამსახურებით გადაურჩა უკანასკნელ წამებზე მარცხს. ვოვამ ბოლო წუთზე უმნიშვნელოვანესი ბურთი ჩააგდო და ლიუბლიანელებს ქულით გაამარჯვებინა.

თავისი გუნდის გამარჯვებებში ლიდერის წილი დაიდო ცსკა-ს დუბლებში მიბრუნებულმა გიორგი ცინცაძემაც. ერთი კვირის წინ ცინცაძეს ცსკა-ს ძირითად გუნდში ჰქონდა არცთუ ურიგო დებიუტი, თუმც მაშინ არმიელები მაჩანჩალა „სპარტაკს" ხვდებოდნენ, ახლა კი უფრო სერიოზულ მეტოქეები ჰყავდათ და ქართველი ისევ დუბლიორებს მიახმარეს.

ცინცაძემაც ჩვეულად ბარაქიანად ითამაშა რუსეთის დუბლიორთა ჩემპიონატის ნახევარფინალური ტურნირის მატჩებში. ხუთი გუნდი ამჯერად სარატოვში შეიყარა და ცსკა-მ მასპინძელი „ავტოდორის" გარდა ყველა მეტოქე დაამარცხა. ქართველი გამთამაშებელი ყველა მატჩში საუკეთესოთა შორის იყო, ყველაზე კარგად კი „ხიმკისთან" ითამაშა, როცა 6 სროლიდან ყველა ჩააგდო და ოთხ მოხსნას ამდენივე პასიც დაურთო.

რუსეთიდან გერმანიაში გადავინაცვლოთ, სადაც გვალვიანი პერიოდი უდგას მანუჩარ მარკოიშვილის „მიტელდოიჩერს". ვეისენფელსელებმა ეტყობა, მთელი ძალა ფიბა-ევროპის თასის ოთხთა ფინალში გასვლას შეალიეს და ბუნდესლიგაში საბრძოლველად ილაჯი აღარ შერჩათ. შეგახსენებთ, რომ ოთხთა ფინალში გასასვლელ მატჩში სწორედ ქართველმა ისახელა თავი. მარკოიშვილმა 17 ქულა ჩაუგდო გერმანელსავე „ვუცბურგს", შედეგად 28-29 მარტს „მიტელდოიჩერი" თურქულ იზმირში ოთხთა ფინალში ითამაშებს.

გასულ კვირაში კი „მიტელდოიჩერმა" ორი მატჩის წაგება მოასწრო ბუნდესლიგაში. ვეისენფელსელები ჯერ ბუნდესლიგის მოწინავე „ტელეკომთან" დამარცხდნენ, გუშინწინ კი ისე რა „არტლანდთანაც" ააფრიალეს თეთრი დროშა. მარკოიშვილის ჯამური მონაგარი ამ ორ მატჩში ოდენ 8 ქულაა.

სხვა მხრივ, „ფრანგები" — ვახტანგ ნაცვლიშვილი და ვიქტორ სანიკიძე ამ კვირაში ისვენებდნენ, ოკეანგაღმა კი ისეთ დღეში არიან ჩვენიანები, რომ იქით გახედვაც კი გვეხამუშება.

**ირაკლი პერტაია**





ვლადიმერ ბოისამ გამარჯვების ბურთების ჩაგდებას უწმირა, მანუჩარ მარკოიშვილს კი კვირა ჩაუვარდა



გიორგი ცინცაძე დუბლებში დააბრუნეს

## ქართული ლეგიონი გასულ კვირაში

| | გუნდი | მეტოქე | ტურნირი | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ | წ/ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | ოლიმპია | ეფესი | ევროლიგა | შ | 68:57 | 30 | 10 | 2 | 0 | 29/10 |
| | | შიროკი | ადრიატიკის ლიგა | ს | 73:72 | 30 | 17 | 6 | 0 | 27,5/12,2 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | მიტელდოიჩერი | ტელეკომი | ბუნდესლიგა | შ | 83:91 | 18 | 4 | 0 | 2 | — |
| | | არტლანდი | ბუნდესლიგა | ს | 71:74 | 25 | 4 | 2 | 4 | 29/9,3 |
| გიორგი ცინცაძე | ცსკა (დუბლ.) | კონტი | რუსეთის დუბლ.ჩემპ. | ნ | 105:51 | 23 | 12 | 3 | 4 | — |
| | | ავტოდორი | რუსეთის დუბლ.ჩემპ. | ნ | 86:93 | 35 | 18 | 4 | 2 | — |
| | | ხიმკი | რუსეთის დუბლ.ჩემპ. | ნ | 103:53 | 27 | 12 | 4 | 4 | — |
| | | დინამო | რუსეთის დუბლ.ჩემპ. | ნ | 98:75 | 19 | 8 | 3 | 0 | 24,3/12,1 |
| ზაზა ფაჩულია | ორლანდო | მაიამი | NBA.რეგულარ. ჩემპ. | ს | 89:100 | 1 | 0 | 0 | 0 | — |
| | | ვაშინგტონი | NBA.რეგულარ. ჩემპ. | შ | 108:99 | არ უთამაშია | | | | — |
| | | სიეტლი | NBA.რეგულარ. ჩემპ. | შ | 101:115 | 1 | 0 | 0 | 0 | 10/3 |
| ნიკა ცქიტიშვილი | დენვერი | ნიუ ჯერსი | NBA.რეგულარ. ჩემპ. | ს | 97:98 | არ უთამაშია | | | | — |
| | | მილუოკი | NBA.რეგულარ. ჩემპ. | ს | 117:111 | არ უთამაშია | | | | — |
| | | ვაშინგტონი | NBA.რეგულარ. ჩემპ. | ს | 117:87 | 6 | 6 | 0 | 0 | 7/2,8 |

**შენიშვნა**: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი;
წ/ქ — ტურნირის მატჩებში საშუალოდ ნათამაშები წუთები და მოგროვილი ქულები; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

— 14 მარტი —

**მინესოტა 83:92 პორტლენდი**

მინესოტა: კასელი (20), ჰასელი (12), სპრიუელი (9), გარნეტი (20 ქულა, 14 მოხსნა, 7 პასი), ოლოვოკანდი (2); მადსენი (7), შჩერბიაკი (4), ჰადსონი (3), ჰოიბერგი (2), მილერი (2), ტრენტი (2)

პორტლენდი: სტუდემაიერი (17), ანდერსონი (21), მაილზი (19), რენდოლფი (20 ქულა, 11 მოხსნა), რეთლიფი (7 ქულა, 10 მოხსნა, 6 დაფარება); აბდურ-რაჰიმი (4), პატერსონი (3), დევისი (1), კუკი

*სტეფანია განაცხადში არ იყო*

**დენვერი 102:75 იუტა**

დენვერი: მილერი (24 ქულა, 11 პასი, 9 მოხსნა), ლენარდი, ენტონი (23), ნენე (20), კემბი (10 ქულა, 10 მოხსნა); ვაიტი (7), ბოიკინსი (5), დოლიკი (5), ცქიტიშვილი (6 წუთი, 2 ქულა), ბოუენი (2), ელსონი (2), ბერი (2)

იუტა: აროიო (13), გირიჩეკი (11), გულიოტა (8), კირილენკო (3), კოლინზი (2); უილიამსი (10), პავლოვიჩი (8), ლოპესი (7), ოსტერტაგი (5), მური (4), ბელი (2), რუფინი (2)

**საკრამენტო 101:87 სან ანტონიო**

საკრამენტო: ბიბი (24), ვებერი (23), მილერი (19), სტოიაკოვიჩი (18)

სან ანტონიო: ჯინობილი (16)

**კლივლენდი 107:104 ინდიანა**

კლივლენდი: ჯეიმსი (26), ბუზერი (19)

ინდიანა: ონილი (32 ქულა, 12 მოხსნა), არტესტი (21)

**ტორონტო 101:84 ატლანტა**

ტორონტო: კარტერი (32)

ატლანტა: კოლიე (21)

**დეტროიტი 85:69 ფილადელფია**

დეტროიტი: უილიამსონი (16)

ფილადელფია: გრინი (17)

**მილუოკი 100:103 ნიუ იორკი**

მილუოკი: სკინერი (21)

ნიუ იორკი: მარბერი (21 ქულა, 16 პასი)

**მაიამი 104:95 ნიუ ჯერსი**

მაიამი: ჯონსი (23)

ნიუ ჯერსი: ჯეფერსონი (25)

**კლიპერსი 88:101 დალასი**

კლიპერსი: რიჩარდსონი (32)

დალასი: ნოვიცკი (34 ქულა, 15 მოხსნა)

| აღმოსავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **ატლანტიკა** | | | |
| ნიუ ჯერსი | 40 | 25 | 61,5 |
| ნიუ იორკი | 30 | 37 | 44,8 |
| მაიამი | 30 | 37 | 44,8 |
| ბოსტონი | 30 | 38 | 44,1 |
| ფილადელფია | 28 | 39 | 41,8 |
| ვაშინგტონი | 20 | 45 | 30,8 |
| ორლანდო | 19 | 49 | 27,9 |
| **ცენტრალური** | | | |
| ინდიანა | 49 | 17 | 74,2 |
| დეტროიტი | 43 | 25 | 63,2 |
| ნიუ ორლეანი | 35 | 31 | 53,0 |
| მილუოკი | 34 | 32 | 51,5 |
| კლივლენდი | 30 | 36 | 45,5 |
| ტორონტო | 28 | 38 | 42,4 |
| ატლანტა | 21 | 45 | 31,8 |
| ჩიკაგო | 18 | 48 | 27,3 |

| დასავლეთი | | | |
|---|---|---|---|
| **შუა-დასავლეთი** | | | |
| მინესოტა | 46 | 21 | 68,7 |
| სან ანტონიო | 44 | 23 | 65,7 |
| დალასი | 42 | 24 | 63,6 |
| მემფისი | 41 | 25 | 62,1 |
| ჰიუსტონი | 39 | 26 | 60,0 |
| დენვერი | 36 | 32 | 52,9 |
| იუტა | 34 | 33 | 50,7 |
| **წყნარი ოკეანე** | | | |
| საკრამენტო | 49 | 17 | 74,2 |
| ლეიკერსი | 43 | 23 | 65,2 |
| პორტლენდი | 33 | 33 | 50,0 |
| სიეტლი | 28 | 38 | 42,4 |
| კლიპერსი | 26 | 40 | 39,4 |
| გოლდენ სტეიტი | 25 | 40 | 38,5 |
| ფინიქსი | 21 | 45 | 31,8 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ქართულმა ჩოგბანმა გაჭრა
## ლაბაძემ მოია მოიგერია

**PACIFIC LIFE OPEN ინდიანი უელსი. მაგარსაფარი. კაცები. საპრიზო 2,78 მილიონი $**

**მეორე წრე**

**როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) 6:1, 6:1; ენდი როდიკი (3, აშშ) — ჟან-მიშელ გემბილი (აშშ) 7:6 (7:3), 6:2; გილერმო კორია (4, არგენტინა) — სარგის სარგსიანი (სომხეთი) 6:3, 6:4; *ირაკლი ლაბაძე* (საქართველო) — კარლოს მოია (77, ესპანეთი) 2:6, 6:1, 6:3; რაფაელ ნადალი (ესპანეთი) — ნიკოლას მასუ (11, ჩილე) 6:3, 1:0 მასუმ შეწყვიტა; სებასტიან გროჟანი (13, საფრანგეთი) — დავიდე სანგვინეტი (იტალია) 6:2, 6:2; ნიკოლა ესკუდი (საფრანგეთი) — სხენგ შალკენი (14, ჰოლანდია) 6:3, 6:2; ირჟი ნოვაკი (16, ჩეხეთი) — ანტონი დიუპუი (საფრანგეთი) 6:2, 6:0; მერდი ფიში (18, აშშ) — გლენ უაინერი (აშშ) 6:4, 6:4; მარატ საფინი (30, რუსეთი) — იან ჰერნიჩი (ჩეხეთი) 6:4, 7:6 (7:3)**





ირაკლი ლაბაძემ კარლოს მოიასთან ანგარიში გაასწორა

თებერვალში ამერიკულ მაგარსაფართან გაჩვეულმა ირაკლი ლაბაძემ ინდიანუელსურ ბობოლა ტურნირზე ჩოგნაობა ხმაურიანი საშეორწრეო გამარჯვებით განაგრძო. მან არც მეტი, არც ნაკლები წლეულს უკვე ოთხ ფინალში ნაპაექრები და ორი ტიტულის მომხვეჭი კარლოს მოია დაიმორჩილა. 1999 წლის ფინალისტი და წლეულს რანგით მეშვიდე ჩოგნის მქნეველი მოია კალიფორნიაში აკაპულკოურ ტურნირზე მოგების შემდეგ ჩავიდა, იქაურ კორტებზე თითქმის ერთი კვირის განმავლობაში გაიწვრთნა, მაგრამ ჩვენიანის ბარაქიანი გლაჯუნის წინააღმდეგ ვერც ნაოთხფინალევი თავდაჯერებულობა მოიძია და ვერც ადგილობრივ საფართან საკმარისი ადაპტირებულობა. ეს მათი მეორე შეხვედრა იყო და სასიხარულოა, რომ ლაბაძემ რევანშის აღება შეძლო — მათ პირველ მატჩში, რაიც 2002 წელს ბასტადურ თიხნარზე შედგა, მალიორკელმა 6:2, 6:4 იმარჯვა. მომდევნო წრეში ქართველი მეჩოგნე გამოცდილ მაროკოელ ჰიშამ არაზის შეხვდება, ვინაც პირველ წრეში ბელგიელ ოლივიე როხუსს აჯობა, ხოლო მეორეში — 29-ე ნომრად განთესილ ფინელ იარკო ნიემინენს (6:3, 6:3).

სხვაფრივ — ამქრის პირველოსანმა როჯერ ფედერერმა 58 წუთში გადაურბინა რუმინელ ანდრეი პაველს და სეზონის მეჩვიდმეტე გამარჯვება მიითვალა. გაივაკეს ენდი როდიკმა და მარატ საფინმაც და, რაკილა ენდის მესამეს წილ რუსთათარს ხელთ რანგით ოდენ 30-ე ჩოგანი უპყრია, წილისყრა მათ მესამე წრეში ერთმანეთთან აბუღრავებს. ეს წლევანდელი ავსტრალიის ღია პირველობის მეოთხედფინალური შეხლის რემატჩი იქნება. იმ შეხლაში, ეგებ თქვენც გახსოვდეთ, უდაძაბულესი ხუთსეტიანი განდაგანა საფინის მოგებით დასრულდა.

**ქალები. საპრიზო 2,1 მილიონი $**

**მესამე წრე**

**ლინდსი დევენპორტი (3, აშშ) — სამანტა სტოზერი (ავსტრალია) 6:0, 6:3; ვერა ზვონარიოვა (6, რუსეთი) — კლოდინ შაული (ლუქსემბურგი) 6:2, 6:0; ხისელა დულკო (არგენტინა) — ნადია პეტროვა (7, რუსეთი) 6:3, 6:3; ნატალი დეში (საფრანგეთი) — ანა სმაშნოვა-პისტოლეზი (10, ისრაელი) 7:5, 6:4; ფაბიოლა სულუაგა (15, კოლუმბია) — სილვია ტალაია (ხორვატია) 6:4, 2:0 ტალაიამ შეწყვიტა**

ლინდსი დევენპორტმა მეორე წრეშიც შთამბეჭდავად იჩოგნავა (იტალიელ მარა სანტანჯელოს გეიმის წაუგებლად ურტყა) და მესამეშიც უზადო გახლდათ. ერთი ეგ არის, რომ სანტანჯელოსი არ იყოს, მისი საჩოგნაო ოსტატობის საზომად არც უსახელო ავსტრალიელი სამანტა სტოზერი უნდა გამოდგებოდეს. დღის უმთავრესი სენსაცია კი 19 წლის არგენტინელმა გოგოცუნა ხისელა დულკომ გაჩარხა — მან ღონიერი რუსი ნადია პეტროვა მოაშთო.

**ლევან ქელაურაძე**



**WRC**

**მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში. მესამე ეტაპი მექსიკა**

# სოლბერგს ჟურნალისტები მიაწვნენ



მექსიკის პირველი ჩემპიონი მარკო მარტინი

**მექსიკაში** მერალეთა გარბენები კარგა ხანია ტარდება, თუმც იქაურობამ მსოფლიოს ჩემპიონატის ეტაპის სტატუსი მხოლოდ ახლა, 19 წლის შემდეგ მიიღო. მეხიკოდან ოთხასიოდე კილომეტრით დაშორებულ მიწიან გზებზე რბოლის საერთო დისტანცია 1040 კმ იყო, აქედან 394 მოდიოდა 15 ჩქაროსნულ, ჩასათვლელ უბანზე. სტარტის წინა ღამის თავსხმამ გრუნტი საგრძნობლად გააფუჭა და საბურავების სწორად შერჩევა ლამის გადამწყვეტი გახდა.

ეტაპებს შორის ერთთვიანი პაუზა „სუბარუმ“ ახალი მანქანის გამოსაცდელად გამოიყენა და „იმპრეზა WRC2004“ პირველად სწორედ მექსიკაში გააჯირითა. განახლებულმა ძრავამ და ელექრონიკამ ჩინებულად კი იმუშავა, მაგრამ...



დუბლმა „ფორდი“ პირველად დააწინაურა

თავიდან ახალსუბარუიანი პეტერ სოლბერგი დაწინაურდა და პირველი დღის მიწურულს წლევანდელი სეზონის საწყისი ორი ეტაპის მომგებ სებასტიენ ლოებთან სოლიდური უპირატესობაც მოიპოვა, მაგრამ მანქანას აკუმულატორი დაუჯდა და მორიგი ფინიშის შემდეგ საკონტროლო ზონიდან ბოქსებამდე ეკიპაჟმა სამი ჟურნალისტის დახმარებით ხელით მიაგორა. ბუნებრივია, საამისო ხუთწუთიანმა ჯარიმამაც არ დააყოვნა. ამხელა სანქციამ მსოფლიოს ჩემპიონი მე-14 პოზიციამდე ჩამოაქვეითა, რის გამოც ბრძოლის გაგრძელებაზე უარის თქმასაც კი აპირებდა, მაგრამ ბოლოს გადაიფიქრა და გახელებულმა შაბათ-კვირას ისე იქროლა, რომ რვა ჩასათვლელი მონაკვეთის მოგებით მეოთხე ადგილამდე აღზევდა. საბოლოოდ სოლბერგმა გამარჯვებულთან სამი წუთი წააგო, ანუ ის ჯარიმა რომ არა, მექსიკის დიდ პრიზს სწორედ იგი დაისაკუთრებდა.

მოულოდნელად გალიდერებულმა ლოებმა დიდ ხანს ვერ გაძლო — მორიგი ბექობიდან ნახტომის შემდეგ მის „მიცუბისის“ ზეთი გაედინა და რბოლას გამოეთიშა. ფრანგის შემდეგ ესტონელი მარკო მარტინი დაწინაურდა, მალე ჩამოიშორა უახლოესი მდევრები კარლოს საინსი და ფრანსუა დიუვალი და სოლიდური სხვაობით გაიმარჯვა.

საინტერესოა, რომ ეტაპის წინ ინტერნეტით გამოკითხვით მოგების ყველაზე მეტი, 44 პროცენტი სწორედ მარტინმა და მისმა ინგლისელმა თანამძღოლმა მაიკლ პარკმა მიიღეს, ლოებს 18 პროცენტი ჰქონდა, სოლბერგი კი პრეტენდენტთა შორის არც დაუსახელებიათ.

ერთი სიტყვით, მექსიკის რალი მეზობელ ამერიკის ავტოგიგანტმა „ფორდმა“ დუბლით მოიგო და „სიტროენს“ ათი ქულით გაასწრო, ხოლო პირად ჩათვლაში ლოები იმიტომაა მარტინზე წინ, რომ ორ რბოლაში იპირველა, ესტონელის ანგარიშზე კი ერთი გამარჯვებაა, აგრეთვე მეორე და მეშვიდე ადგილები.

**გია ახალაძე**

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1 | მარკო მარტინი (ესტონეთი, ფორდი) | 4სთ;06.46,2 |
| 2 | ფრანსუა დიუვალი (ბელგია, ფორდი) | ჩამორჩა 42,5 |
| 3 | კარლოს საინსი (ესპანეთი, სიტროენი) | 1.20,9 |
| 4 | პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 3.14,7 |
| 5 | მიკო ჰირვონენი (ფინეთი, სუბარუ) | 3.36,2 |
| 6 | მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | 3.58,4 |
| 7 | იუსი ვალიმიაკი (ფინეთი, ჰიუნდაი) | 11.16,9 |
| 8 | ჟილ პანიზი (საფრანგეთი, მიცუბისი) | 11.30,6 |

**საერთო ჩათვლა**

1. სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) 20 ქულა; 2. მარკო მარტინი 20; 3. მარკუს გრონჰოლმი 16; 4. ფრანსუა დიუვალი 14; 5. პეტერ სოლბერგი 13; 6. კარლოს საინსი 10; 7. იანე ტუოჰინო (ფინეთი, ფორდი) 5; 8. მიკო ჰირვონენი 4; 9. ფრედი ლოა (ბელგია, პეჟო) 4; 10. ჟილ პანიზი 4

**კონსტრუქტორთა თასი**

ფორდი 40 ქულა, სიტროენი 30, პეჟო 21, სუბარუ 19, მიცუბისი 5

# ბორჯღალის რეკრუტები მსოფლიოს მოედნებზე

*გაზაფხული სანაკრებო რაგბის ყვავილობის პერიოდია და ეროვნულ გუნდებთან ერთად თვითმფრინავის ბილეთებს სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრებებიც უკვეთავენ. მარტ-აპრილ-მაისში პატარა ბორჯღალოსნების ერთბაშად სამი ასაკობრივი კრებული გადის მსოფლიოსა თუ ევროპის ჩემპიონატების მასპინძელ მინდვრებზე*

## 18-წლამდელები იტალიაში

სულ მალე საქართველოს 18-წლამდელ მორაგბეთა ეროვნული ნაკრები ევროპის ჩემპიონატში სამონაწილეოდ იტალიისკენ, კერძოდ, კი ვენეტოს პროვინციისკენ აიღებს გეზს.

18-წლამდელი სანაკრებო ევროპა სამ ლიგადაა დაყოფილი. ქართველი ჭაბუკები რვანაკრებიან პირველ ლიგაში არიან და ადგილის შესანარჩუნებლად ერთი გამარჯვებაც ყოფნით.

ტურნირი ერთობ უცნაური სქემით ტარდება. მაგალითად საქართველომ პირველი მეტოქე იტალია თუ დაამარცხა, პირველ-მეოთხე ადგილებისთვის იბრძოლებს, ხოლო თუ მასთან დამარცხდა ქვედა ოთხეულში (მე-5-8 ადგილები) რაც შეიძლება მაღალი საფეხურის დაკავებას ეცდება.

როგორც გუნდის მენეჯერმა ნუგზარ მალაღურაძემ გვითხრა, ყველა ანგარიშგასაწევი მეტოქეა. იტალიასთან თამაში 4 აპრილს გვექნება. თუ ჭაბუკი მორაგბეები მოიგებენ, ნახევარფინალში პორტუგალია—საფრანგეთს შორის გამარჯვებულს შეხვდებიან.

ნაკრებს გია ჭუმბურიძე და გია ჯავახიშვილი უხელმძღვანელებენ.

## 19-წლამდელები აფრიკაში

ჩვენი 19-წლამდელები კი მსოფლიოს თასზე მონაწილეობისთვის ამჟამად საფრანგეთში ემზადებიან. მსოფლიოს თასი სამხრეთ აფრიკაში იმართება, ჩვენებურები იქ თავდაპირველად დათქმული 22 მარტის ნაცვლად 19 მარტს ჩაფრინდებიან. მსოფლიოს თასზე 16 გუნდი მონაწილეობს, რომლებიც ოთხ ოთხგუნდიან ჯგუფად არიან დაყოფილი. „ქართულ“ ჯგუფში არიან ინგლისი, ახალი ზელანდია და იაპონია.

ხვალ ქართველი 19-წლამდელები ფრანგ თანატოლებს ამხანაგურად შეერკინებიან.

ნაკრების მწვრთნელები არიან ლევან მაისაშვილი და ბადრი ბოხუა.

## 20-წლამდელები რუმინეთში

20-წლამდელები კი უმცროს ბორჯღალოსნებზე ოდგავ მოგვიანებით ჩაერთვებიან საქმეში, მაისის დასაწყისში რუმინეთში ევროპის ჩემპიონატის შესარჩევში თამაში ელით. ქართველთა ძირითად მეტოქეები არიან რუმინეთის, რუსეთის და პორტუგალიის ნაკრებები. ქვეჯგუფში სულ რვა გუნდია, რომელთაგან შემდეგ ეტაპზე მხოლოდ ერთი გადის.


დავით ჩავლეიშვილი

მწვრთნელები: ნუგზარ ძაგნიძე და დავით ჩავლეიშვილი.



# რკინის ქალამნები ხალიჩაზეც საჭიროა

## ბადრი ხასაიას ბოლო იმედად ბობოლების დანამუსება დარჩა

ბერძენ-რომაელთა ტაშკენტური დასკვნითი სალიცენზიო ტურნირი ბადრი ხასაიასთვის (74 კგ) უიღბლო რომ გამოდგა, გუშინ გაუწყეთ. ევროპის ჩემპიონ და მომავალი ოლიმპიადის ერთ-ერთ ფავორიტად მონიშნულ ქართველს ხელი მსაჯების არაობიექტურობამ შეუშალა. ხასაიას ბოლო იმედად საერთაშორისო ფედერაციის გადაწყვეტილებაღა რჩება. სარწმუნო წყაროების ცნობით, ქართველებმა საპროტესტო წერილი და შეხვედრის ვიდეოფირი იქ უკვე გააგზავნეს.

პროტესტის ასეთ დონეზე გაცხადება არათუ ქართულ, მსოფლიო პრაქტიკაშიც უპრეცედენტო შემთხვევა ყოფილა. ხასაიას საოლიმპიადო შანსებზე საუბარს ბევრმა თავი ამადაც აარიდა. საქართველოში მყოფი სპორტსმენები და სპეციალისტები პროგნოზების გაკეთებისგან თავს იკავებენ და საერთაშორისო ფედერაციის პასუხს ელიან.

„ასეთი უკიდურესი ზომებისთვის არასოდეს მიგვიმართავს. არც გაგვიგია, რომელიმე ნაკრებს შედეგი ტურნირის ფარგლებს გარეთ გაეპროტესტებინოს — გვითხრა ჭიდაობის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა ომზარ შოშიტაიშვილმა — ბოლომდე სიტუაციაში არც მე ვარ გარკვეული და ვერც იმას გეტყვით, სამართლის პოვნის რა შანსები გვაქვს.“

ბადრი ხასაია, ნაკრების მწვრთნელი ბეგი დარჩია და ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი გოჩა ძასოხოვი თბილისში დღეს დილით ბრუნდებიან და დაწვრილებით ინფორმაციას ხვალინდელ ნომერში მოგაწვდით.

**ოთარ მაღლაკელიძე**



## რეგულარული ჩემპიონატი

# ახალი ყვანჯიც კარგად ჰგვის


წაქცეულმა ფილადელფიელმა კლოდ ლაპოინტმა პიტსბურგელი ალექსეი მოროზოვიც დაითრია

14 მარტი

**ჩიკაგო 0:4 დალასი**
*0:1 0:1 0:2*
0:1 გერინი (2), 0:2 ბურე (27), 0:3 ტარჯონი (43), 0:4 ლეჰტინენი (40)

კვირა ახალწვეულების იყო. „დედლაინზე“ კლუბშეცვლილმა თითქმის ყველა მოთამაშემ გაახარა თავისი ახალი პატრონი. ამ მატჩში ვალერი ბურე გამოირჩა, ვისთვისაც ეს მეორე თამაში გახლდათ „დალასის“ რიგებში.

**კოლორადო 4:1 ფინიქსი**
*1:0 0:0 3:1*
1:0 ლაილსი (11), 2:0 ბარნაბი (43), 3:0 ბლეიკი (56), 3:1 კომრი (56), 4:1 კონოვალჩუკი (58)

„კოლორადოს“ ახალწვეულებმა კიდევ უფრო იყოჩაღეს, რამაც კიდევ ერთხელ დაამტკიცა გუნდის გენერალურ მენეჯერ პიერ ლაკრუას შორსმჭვრეტელობა. ჩხუბისთავმა მეტიუ ბარნაბიმ თავისი პირადი მოვალეობაც შეასრულა და გოლი და პასიც მიითვალა. ასე რომ, გორდი ჰოუს ჰეთ თრიქი შეასრულა. ერთი პასი კრის გრეტონის ანგარიშზეა, ხოლო მეკარე ტომ სალომ თავისი დებიუტი დენვერში 26 მოგებით აღნიშნა.

**სენტ ლუისი 0:3 კალგარი**
*0:1 0:1 0:1*
0:1 ნილსონი (3), 0:2 კონროი (37), 0:3 საიმონი (54)

პლეი ოფში გასვლისთვის მებრძოლი გუნდების ჯახშიც გადამწყვეტი როლი ახალშეძენილებმა შეასრულეს. მარკუს ნესლუნდს, რაც „კალგარში“ გადავიდა, ყველა მატჩში გააქვს გოლი, კრის საიმონმა (1+1) კი თითქოს ის ხანმოკლე პერიოდი გაიხსენა, როცა „ვაშინგტონში“ ლამის საუკეთესო მეგოლე იყო.

**პიტსბურგი 3:3 ფილადელფია**
*1:2 2:0 0:1 1:0*
0:1 ჟამნოვი (4), 1:1 უილსონი (14), 1:2 იუნსონი (20), 2:2 მოროზოვი (28), 3:2 მოროზოვი (38), 3:3 განიე (42)

**ლოს ანჯელესი 5:1 ანაჰაიმი**
*1:0 2:0 2:1*
1:0 კლეტი (3), 2:0 რობიტაილი (34), 3:0 დემპსი (40), 4:0 ლაპერიე (46), 4:1 ფიოდოროვი (50), 5:1 ფროლოვი (60)

**ედმონტონი 3:1 ოტავა**
*0:1 3:0 0:0*
0:1 ჰავლატი (15), 1:1 დვორჟაკი (32), 2:1 მორო (33), 3:1 ტორესი (39)

აქაც საუკეთესო პეტერ ნედვედი იყო, რომელიც ეს-ესაა გადავიდა „ედმონტონში“. იგი ორი საგოლე პასით შეეწია ახალ გუნდს.

**დეტროიტი 3:2 ნეშვილი**
*1:1 0:1 1:0 1:0*
0:1 სტივენსონი (6), 1:1 შენაჰანი (9), 1:2 არხიპოვი (23), 2:2 შენაჰანი (50), 3:2 შენაჰანი (68)

**მინესოტა 3:2 კოლუმბუსი**
*0:0 2:2 1:0*
0:1 ვიბორნი (22), 0:2 ლეტოვსკი (29), 1:2 პარკი (38), 2:2 შულცი (40), 3:2 დეიგლი (43)

# მური აზრზე მოვიდა, ბერტუჩი მოიქვანეს

**კოლორადოელ** სტივ მურის ჯანმრთელობას სასიკეთო ძვრები დაეტყო და იგი კვირას უკვე დენვერში გადააფრინეს. მართალია, კოლორადოს წარმომადგენლებმა არ დააზუსტეს, იგი სად მკურნალობს, მაგრამ გუნდის თავკაცმა ტონი გრენატომ დაადასტურა, რომ სტივი თავს უკეთ გრძნობს.

„მე მოვინახულე სტივი და აშკარად უკეთაა, გამოჯანმრთელების პროცესშია და ჩინებულ განწყობაზეა. მას ძალიან უხარია, რომ გუნდი კარგად თამაშობს, იმის თქმა კი, როდის შეძლებს მოედანზე გასვლას, ჯერ ნაადრევია“ — თქვა გრენატომ.




ტოდ ბერტუციმ სტივ მურის სასტიკად ცემა კი მოინანია, მაგრამ რაღა დროს

ბერტუცის კი მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში აეკრძალა. წესით, დისკვალიფიკაცია მხოლოდ ნჰლ-ის ტურნირზე ვრცელდება და თითქოს ჰოკეისტის საერთაშორისო ფედერაციის (იიჰფ) ეგიდით გამართულ შეჯიბრში მონაწილეობას ხელს არაფერი უშლიდა, მაგრამ იიჰფ-ს მოხელეებმა განსაკთრებით გაუსვეს ხაზი იმას, რომ სულაც არ აპირებენ, ამგვარი სასტიკი საქციელის ჩამდენს რაიმე შეღავათი მისცემენ. ნჰლ-ის გადაწყვეტილება, მათი აზრით, ყველა რანგის ტურნირზე უნდა გავრცელდეს და ბერტუცი სავსებით მოიკვეთოს ჰოკეიდან. თუმც ჯერ ბოლომდე არ გადაწყვეტილა ბერტუცის მსოფლიოს თასზე მონაწილეობის საკითხი. ტურნირი სექტემბერში გაიმართება, როცა ჰოკეისტის დისკვალიფიკაციის ვადა გასული იქნება. თან იგი ხომ კანადის საუკეთესო ძალისმიერი ფორვარდია.. თუმც ნურც იმას დავივიწყებთ, რომ კანადის ნაკრებში რამდენიმე კოლორადოელიც იქნება და გუნდში ბერტუცის ყოფნა ცოტა არ იყოს, დაძაბავს ატმოსფეროს.

# ლინდროსს ტვინი შეერყა, მაგრამ შერჩა

**„რეინჯერსის“** ტრავმირებულ ფორვარდ ერიკ ლინდროსის შესახებ ორი ამბავი მოვიდა — კარგი და ცუდი. ცუდი ის არის, რომ უკვე ოფიციალურად არის ცნობილი — მისთვის სეზონი დასრულებულია. ახლა კარგზე: ლინდროსი სეზონს ასრულებს და არა კარიერას...

28 იანვარს ერიკმა ჯეისონ დოიგთან შეჯახებისა და ჩხუბის შემდეგ ტვინის შერყევა მერვედ(!) რომ მიიღო, გამოცხადდა, ყინულზე დაბრუნების კიდევ მცდელობა შეიძლება ჰოკეისტისთვის საბედისწერო გახდესო. მაგრამ ლინდროსი ძალიან სწრაფად გამოჯანმრთელდა და, თქვენ წარმოიდგინეთ, „დედლაინზე“ მისი გაცვლის ვარიანტსაც კი განიხილავდნენ. თუმც საქმეში იმავე მატჩის დროს დაზიანებული მხარი ჩაერია, აღმოჩნდა, რომ ტვიშერყეულ ერიკს ოპერაცია სჭირდება. ტრეიდიც ამის გამო ჩაიშალა. იგი ოპერაციას ორ კვირაში გაიკეთებს, თუმც წლეულს ვეღარ დაბრუნდება. დაგვეთანხმებით, ამ ორი ამბიდან კარგმა გადაწონა. მთავარი ისაა, რომ ლინდროსი მერვე ტვინის შერყევის შემდეგაც გა-



დარჩა, ამდენი თავგადასავლის შემდეგ იხტიბარს არ იტეხს და უტეხი გული მაინც ყინულისკენ ეწევა.

**სამველ ლარიბიანი**

REUTERS ბორდონეკიდან

# ცაში



სამი ქალი ცაში, ბორდონეკიას მთების თავზე. იტალიელი კარმენ რანილერი, ავსტრიელი მანუელა რივლერი და ფრანგი ჟული პომაგალსკი (მარჯვნივ). გამარჯვებული სწორედ ეს უკანასკნელი გამოვიდა და ამასთან ერთად წლის მსოფლიო თასის მომგებადაც გამოცხადდა.

# ათენის მზადება

ათენში ტაეკვანდოს საერთაშორისო შეჯიბრი მიმდინარეობს, ესპანელი ხუან გარსია იორდანიელ იბრაჰიმ ქამალს წიხლით უმასპინძლდება. ტაეკვანდო ახლა კბილს უსინჯავს ათენის ფიცარნაგებს, ამ ზაფხულს ამავე ქალაქში მისი ოლიმპიური დებიუტი შედგება. საერთოდ კი, ათენში ახლა წინაოლიმპიური შეჯიბრებები მიმდინარეობს, მათ შორის მოფარიკავეთა ტურნირიც, რომლის მონაწილეებსაც, ავე, როგორი ხმალი მიუძღვნიათ ოლიმპიადის ორგკომიტეტის ხელმძღვანელ ჯინა ანგელოპულოსისთვის.



REUTERS ათენიდან



# კეთილი ნადირი ბავშვებში

შარშან ბრუკლინის სასტუმროში ჩხუბისთვის სასამართლომ ასი საათი მუქთა მუშაობა დააკისრა მაიკ ტაისონს, რომელსაც ბევრი არ უფიქრია და კრივის მასწავლებლად მივიდა ნიუ იორკის „გლისონზჯიმში", რვა წლის მარიფ „მუგარ" ბოი ჯუნიორი უკეთეს მწვრთნელს, აბა, სად იპოვნიდა.

REUTERS ნიუ იორკიდან



# დროშა ძნელ სამეზობლოში

ეს რას მოესწრება კაცი. ინდოეთი და პაკისტანი ხომ ძველ წყენათა დავიწყებას ცდილობენ და თოთხმეტი წლის თავზე პირველად ერთმანეთს კრიკეტის სრულ სერიაში ერკინებიან ყარაჩიში. სპორტი პოლიტიკის გამნალმველია და ამიტომაც ყარაჩის სტადიონზე ფრიალებს ინდოეთის დროშა. დროშა უჭირავს გოგოს, რომელსაც ჰქვია პრიანკა განდი. პრიანკა მოკლული პრემიერის რაჯივ განდის ასული, ინდირა განდის შვილიშვილი და ჯავაჰარლალ ნერუს შვილთაშვილია, დედამისი სონია კი განდითა საგვარეულო პარტიის, ეროვნული კონგრესის ლიდერია.



REUTERS ყარაჩიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით ერაძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ელენე გელუტაშვილი, რუსუდან დარსაველიძე, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, დავით კვაჭანტირაძე, თენგიზ ფოფხაძე ზურაბ წერეთელი, მირიან ხანიშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge